“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№10 (274)
ოქტომბერი
2021 წელი
უფასო

„პოეზია – უპირველესი ყოველისა!“

„შოთაობის“ ტრადიცია გრძელდება

„შოთაობის“ ტრადიციას საფუძველი 1966 წელს ჩაეყარა. დღესასწაულის აღნიშვნა 1990–იანი წლებიდან შეწყდა. მოგვიანებით, 2008 წელს, სოფელ რუსთავში ტრადიცია აღდგა.

ამ სახალხო დღესასწაულით პატივს მიაგებენ დიდი შოთას ხსოვნას.

შოთა რუსთაველი XII საუკუნის გენიალური ქართველი პოეტი და მოაზროვნეა, ავტორი საქვეყნოდ ცნობილი პოემისა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქართული სულიერი კულტურის გვირგვინია.

შოთა რუსთაველი მსოფლიოს მრავალ ლიტერატურათმცოდნეთა მიერ მიიჩნევა შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად.

„შოთაობა“ ყოველ წელს განსაკუთრებულად აღინიშნება სამცხე-ჯავახეთში.

მინდა ყველას მოგილოცოთ ეს დღე და გისურვოთ ჯანმრთელობა, რაც დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, ულევი სიხარული, სიკეთე, წარმატება, მშვიდობა და კეთილდღეობა!

ანტონ ოგოლაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი

ღვთის მადლი გაბრწყინდეს!

თითოეულ ასპინძელს და სრულიად საქართველოს ვულოცავ გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დღისადმი მიძღვნილ პოეზიის სახალხო დღესასწაულს ,,შოთაობას“.

რუსთაველმა, როგორც დიდმა შემოქმედმა შეძლო საქართველო მსოფლიოსთვის გაეცნო, როგორც ყველასაგან გამორჩეული ქვეყანა, შესაბამისად იგი იქცა მსოფლიოს საკუთრებად.

სწორედ მესხეთში იბადებოდნენ, იბადებიან და კვლავაც დაიბადებიან დიდი ნიჭისა და სიყვარულის მატარებელი ადამიანები, რომლებიც თავის სიტყვას იტყვიან ერისა და ქვეყნის წინაშე.

ღვთის მადლით და წყალობით იბერია გაბრწყინდება.

როსტომ მაგრაქველიძე,
ასპინძის მერი

შოთა რუსთაველის პირველი იუბილე (1937 წ.)

ოთარ ჯანელიძე

1937 წლის გაგონებაზე, ნებისმიერ ადამიანს, ვინც თუნდაც ზერელედ იცნობს საბჭოეთის ისტორიას, პირველ რიგში ,,დიდი ტერორი“ და მისი აპოგეა გაახსენდება. მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ იმავე 1937 წელთან დაკავშირებულია საქართველოსათვის ორი მეტად

საგულისხმო მოვლენა, რომლებმაც სოციო-კულტურული ფაქტის მნიშვნელობა შეიძინეს. მხედველობაში მაქვს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 და ,,ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილეები.

იუბილე ძველებრაული წარმომავლობის სიტყვაა და ზეიმს, დღესასწაულს ნიშნავს, რომელიც რაიმე ღირშესანიშნავი მოვლენის უკვდავსაყოფად ან ამა თუ იმ პიროვნების ღვაწლის აღსანიშნავად ეწყობა ხოლმე. ძველ აღთქმაში ასე ეწოდებოდა მოსეს მიერ დადგენილ წმიდა წელიწადს (,,თავისუფლების წელიწადს“), რომელიც ყოველ ორმოცდამეათე წელს აღინიშნებოდა.

ამ აღმოსავლურ ჩვეულებას ფართოდ იყენებდნენ დომინატის ეპოქის რომის იმპერატორებიც, რომლებიც მასშტაბურად აღნიშნავდნენ ხოლმე საკუთარი მმართველობის მრგვალ თარიღებს. რაც შეეხება ძველ ბერძნებს, ისინი მხოლოდ თავიანთი ღმერთების დაბადების დღეებს დღესასწაულობდნენ. ქრისტიანობის წარმოშობასა და დამკვიდრებასთან ერთად ვისიმე დაბადების დღის აღნიშვნა პრაქტიკიდან გაქრა. არც მართლმადიდებელ და არც კათოლიკურ ტრადიციაში დაბადების დღის ზეიმი მიღებული არ ყოფილა, რადგან იგი წარმართული დროის მახასიათებლად მიიჩნეოდა და, ცხადია, ეკლესია გაურბოდა.

ძველ საქართველოში იუბილეების ტრადიცია არ არსებულა. დღემდე ცნობილი პირველი საიუბილეო საღამო თბილისში 1895 წლის ოქტომბერში შედგა ცნობილი ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავად. საიუბილეო დღესასწაული შორს გასცდა ხალხის საყვარელი პოეტისა და, ზოგადად, მწერლობისადმი პატივისცემის ფარგლებს. იუბილემ მთელი ქართული ეროვნული კულტურის ზეიმის ხასიათი მიიღო. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ამ მოვლენის გამო გამოცემულ სპეციალურ კრებულს „საერო დღესასწაული“ უწოდეს.

რაფიელ ერისთავის ღვაწლის საჯაროდ დაფასებამდე იყო ცდა, იუბილე მოეწყოთ გრიგოლ ორბელიანისათვის, მაგრამ, მან უარი განაცხადა, საიუბილეო ხალხი სხვა გვყავს: რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილიო. კავკასიის ადმინისტრაციამ ხელი შეუშალა და, ფაქტობრივად, არ დაუშვა ილია ჭავჭავაძის იუბილეს გამართვა, თუმცა ქართველი საზოგადოებისათვის არ დაუშლია აღენიშნა კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავი. 1908 წელს მოეწყო აკაკი წერეთლის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მასშტაბური იუბილე, რომელიც დიდ ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა და სხვ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, თერგდალეულთა თაოსნობით, მეტი ყურადღება მიექცა სახელოვან წინაპართა და გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებათა ნაღვაწ-ნაამაგარის პატივდებას. ცხადია, გაიხსენეს შოთა რუსთაველიც. დაისვა პოეტის სახელის უკვდავყოფის საკითხი. 1893 წლის ივნისში გაზეთმა ,,ივერიამ“ გამოაქვეყნა ალექსანდრე ხახანაშვილის წერილი, რომელშიც წამოჭრილია თბილისში შოთა რუსთაველის ძეგლის აგების წინადადება. პუბლიკაციაში სახელდობრ, ნათქვამია: დროა შევადგინოთ კომისია ძეგლისათვის საჭირო თანხის შესაგროვებლად, მით უფრო, რომ რუსთაველი საქართველოს ,,სიქადულსა და დიდებას“ შეადგენს. არსებობს ცნობა, რომ უფრო ადრეც, გრიგოლ ორბელიანისა და დავით მელიქიშვილის თაოსნობით, სპეციალური კომიტეტი შეუქმნიათ, თანხის შეგროვებაც დაუწყიათ და რუსთაველის ძეგლის ასაგებად ნებართვა კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვისათვის უთხოვნიათ. ჩანაფიქრი ვერ განხორციელებულა და ამაში ხელი მეფისნაცვლის პოსტიდან გადადგომას შეუშლია. როგორც ირკვევა, 80-იან წლებში იმავე მიზნისათვის ხარჯი გიორგი ქართველიშვილმა გაიღო, მაგრამ მთავრობას უარი უთქვამს თბილისში ძეგლის დადგმაზე, მაშინ, როდესაც აქ უკვე იდგა მ. ვორონცოვისა და ა. პუშკინის ძეგლები. ცარიზმის კოლონიალური ბატონობის პირობებში ამ საშვილიშვილო წამოწყების ხორცშესხმა შეუძლებელი გახდა.

რუსთაველის ძეგლი ისრაელში

1910-იან წლებში დაიწყო მოძრაობა შოთა რუსთაველის საზოგადოების დასაარსებლად, რომელსაც უნდა ეკისრა პოეტის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ეპოქის შესწავლა, გამოეცა „ვეფხისტყაოსანი“, ჩაეტარებინა პოეტის იუბილე და მოეწყო საერთაშორისო (,,მსოფლიო“) კონკურსი რუსთაველის ძეგლის საუკეთესო პროექტის გამოსავლენად. გათვალისწინებული იყო ძეგლის ნიშის მესხეთში გაკეთება, ხოლო მონუმენტი თბილისის ცენტრში უნდა დაედგათ. ასეთი საზოგადოება 1913 წლისათვის მართლაც დაუფუძნებიათ და მთავრობას მისი წესდებაც დაუმტკიცებია. სამწუხაროდ, დაწყებული მსოფლიო ომის პირობებში ამ საზოგადოებას თავისი პროექტების რეალიზების საშუალება აღარ მიეცა.

მას შემდეგ, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, უყურადღებოდ არც შოთა რუსთაველი დარჩენილა. დედაქალაქის მთავარ მაგისტრალს გადაერქვა რუსი მთავარმართებლის გოლოვინის სახელი და დიდი პოეტის სახელი მიეკუთვნა.

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

„მოუვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.“

რუსთაველი

შოთა რუსთაველის პირველი იუბილე (1937 წ.)

◀ დასაწყისი გვ. 1

დაფუძნდა ჟურნალი ,,რუსთაველი“, რომლის, მართალია, სულ 3 ნომერი გამოვიდა (დაბალ პოლიგრაფიულ დონეზე და შინაარსითაც ერთობ მდარე), მაგრამ ,,ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის ძეგლის დადგმის საკითხი ამ გამოცემამაც შეახსენა მკითხველ საზოგადოებას. იმ ხანად ჩამოყალიბებულ „საქართველოს ეროვნულ-ხალხოსნურის და საზოგადოებრიულ-თემოსნურის შოთა რუსთაველის ჯგუფ-პარტიის“ კომიტეტს (თავმჯდომარე ევგენი დვალი), დაუდგენია, რომ შოთა რუსთაველის ძეგლი მთაწმინდის ქედზე, იმ ადგილას დადგმულიყო, სადაც აგებულია ფუნიკულიორის შენობა და ,,იქიდან არწივივით უნდა დაჰყურებდეს თფილის ქალაქს და მის ახლო-მახლო მდებარე ალაგებს“. 1920 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“. დამოუკიდებლობის მოკლე, სამწლიან პერიოდში შოთა რუსთაველის უფრო მეტად დაფასება ვერ მოხერხდა.

საბჭოურ სინამდვილეში ვითარება შეიცვალა. ქართველ ბოლშევიკ ლიდერთა ერთ ნაწილში რუსთაველისა და მისი პოემის (საერთოდ, კლასიკოსების) მიმართ ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება დამკვიდრდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ფილიპე მახარაძე, რომელიც ,,ვეფხისტყაოსანს“ ,,მონური ნეს-წყობილებისა და მონური ცხოვრების“ სახოტბო ტექსტს უწოდებდა. შესაბამისად, ბოლშევიკური კრიტიკაც მიიჩნევდა, რომ ,,ვეფხისტყაოსანი“ საბჭოთა მკითხველისათვის იდეოლოგიურად მიუღებელი ნაწარმოები იყო, რადგან იგი ,,თავიდან ბოლომდე ფეოდალური არისტოკრატიის საგალობელს წარმოადგენს“.

მიუხედავად იმისა, რომ ფ. მახარაძეს იმ დროისათვის მაღალი და გავლენიანი თანამდებობები ეკავა, 1922 წ. მარტში გაზეთმა ,,კომუნისტმა“ გამოაქვეყნა განცხადება, რომლიდანაც ცხადი ხდება, რომ ხელისუფლებას შოთა რუსთაველის იუბილეს მოწყობის გაზრახვა გასჩენია. განცხადებაში მითითებულია თუ რა ფორმით უნდა აღნიშნულიყო იუბილე და ჩამოთვლილია გასამართი ღონისძიებების ნუსხაც. კერძოდ, სამუზეუმო-საგამოფენო განყოფილებას საიუბილეოდ მიხეილის ქ. N3-ში უნდა გამოეფინა სამი პლაკატი, მათ შორის აფორიზმები ,,ვეფხისტყაოსნიდან“ ქართულ ენაზე შოთა რუსთაველის სურათებით და ქართული ორნამენტებით.

1922 წელს დიდი პოეტი და მისი პოემა საქართველოში კიდევ რამდენჯერმე გაიხსენეს. 3 ივნისს ხელოვანთა სასახლეში მწერალთა კავშირმა გამართა საღამო, რომელზეც პავლე ინგოროყვამ წაიკითხა მოხსენება: ,,შოთა რუსთაველი. ახალი შეხედულება პოეტის ვინაობაზე და ცხოვრების დროზე“. მეორე დღეს კი იმავე სასახლეში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ღია კრებამ პროფესორ ივანე ჯავახიშვილის გამოსვლა მოისმინა. მოხსენების თემა იყო: ,,ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი: საკითხი ამბავის სადაურობისა და დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ“.

20-30-იანი წლების საბჭოთა კავშირში ისტორიულ პიროვნებათა სახელის უკვდავყოფისა თუ მნიშვნელოვან მოვლენათა წლისთავების აღსანიშნავი ღონისძიებების გამართვა სსრკ სახკომსაბჭოს 1925 წ. 1 დეკემბრის დაგენილებით რეგულირდებოდა. ყოველი ასეთი ხასიათის იუბილეს მოწყობა მხოლოდ მთავრობის საგანგებო ნებართვისა და გადაწყვეტილების საფუძველზე იყო შესაძლებელი. იუბილე თანდათან არა მარტო საზეიმო თარიღი, არამედ საზოგადოების ისტორიული მეხსიერების ფორმირების საშუალებაც ხდებოდა.

1927 წლის გაზაფხულზე საქართველოს სსრ მთავრობამ ჩამოაყალიბა კომისია, განათლების სახალხო კომისრის დავით კანდელაკის თავმჯდომარეობით, რომელსაც თბილისში შოთა რუსთაველის ძეგლის აგების პრაქტიკული საკითხები უნდა მოეგვარებინა. კომისიის გადაწყვეტილებით, ძეგლი 1929 წლისათვის უნდა

პორტრეტი დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლეში, რომელიც, საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით, 2018 წელს გადმოსცა პარიზში მცხოვრებმა ემიგრანტებმა ლია და მიხეილ ვოდეებმა.

დაედგათ და ეს თარიღი რომში პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვის სამასი წლის იუბილესათვის დაემთხვიათ. კომისიის შექმნა არ გამოდგა საკმარისი, ძეგლის იდეამ დიდი ხნის განმავლობაში რეალიზება ვერ ჰპოვა. 1934 წლის შემოდგომაზე გაზეთ ,,კომუნისტში“ დაიბეჭდა მკითხველის, ნიკ. კევლიშვილის მოსაზრება, რომ გაეფართოებინათ ზემელის მოედანი თბილისში და აეგოთ იქ შენობა, რომელშიც განთავსდებოდა რუსთაველის ბიბლიოთეკა. იქვე უნდა მოწყობილიყო შოთა რუსთაველის მუზეუმიც. ბიბლიოთეკის შესასვლელთან ან შენობის ზევით კი უნდა აღემართათ პოეტის ძეგლი.

ეს წერილი მას შემდეგ დაიბეჭდა, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ჯერ კიდევ 1934 წლის 20 აგვისტოს მიიღო სპეციალური დადგენილება პოეტის იუბილეს მასშტაბურად აღნიშვნის შესახებ. კომისიაში შეიყვანეს ივანე ჯავახიშვილი, იაკობ ნიკოლაძე, კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, ვუკოლ ბერიძე, პაოლო იაშვილი და სხვ. იუბილეს იდეა ი. სტალინს ეკუთვნოდა.

დადგენილების პირველი პუნქტის თანახმად, 1937 წლის ოქტომბერში მთელს საქართველოში უნდა მოწყობილიყო საყოველთაო სახალხო ზეიმი შოთა რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად. მეორე პუნქტი ითვალისწინებდა თბილისში პოეტის ძეგლის აღმართვას, დაგეგმილი იყო აგრეთვე, ,,ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის მომზადება და დაბეჭდვა, პოემის იაფფასიანი გამოცემა მასობრივი ტირაჟით, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტს უნდა მინიჭებოდა შოთა რუსთაველი სახელი და აქვე უნდა გახსნილიყო რუსთაველის მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე უნდა დაარსებულიყო რუსთაველის კათედრა და სხვ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭომ შექმნა იუბილეს მომწყობი სამთავრობო კომისია სახკომსაბჭოს თავმჯდომარის გერმანე მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიოდნენ: ლ. ბერია, მ. გორკი, ფ. მახარაძე, პ. აღნიაშვილი, კ. ორაგველიძე, მ. ტოროშელიძე, ა. თათარიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ნ. მარი, ა. შანიძე, მ. ჯავახიშვილი, გ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, პ. იაშვილი, პ. ინგოროყვა, ა. ახმეტელი, ლ. გუდიაშვილი,

მიხაი ზიჩი. "ვეფხისტყაოსნის" ცოცხალი ილუსტრაციები

გ. ქიქოძე და სხვ.

საიუბილეო კომისიამ განსაზღვრა პრიორიტეტული ამოცანები: *1. ,,ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულად დადგენა, მისი აკადემიური და პოპულარული გამოცემების უზრუნველყოფა; 2. თბილისში შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმა; 3. საიუბილეო გამოფენის ორგანიზება; 4. ,,ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე თარგმნა და გამოქვეყნება და 5. პოემის რამდენიმე თარგმანის რუსულ ენაზე გამოცემა.*

გამოცხადდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კონკურსი, მათ შორის: *1. ,,ვეფხისტყაოსნი“-ს საუკეთესო სალიტერატურო კინო-სცენარის გამოსავლენად (დაწესდა ჯილდოც - პირველი პრემია 30 ათას მანეთის ოდენობით). 2. თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე დასადგმელი შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტის მომზადებაზე და 3. ,,ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ილუსტრაციის ესკიზების შექმნისათვის.* ცალ-ცალკე შეიქმნა ჟიური თითოეული ამ კონკურსისათვის.

იუბილეს სამზადისი მეტად რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ეს პროცესი დაემთხვა პოლიტიკური რეპრესიების ახალ ტალღას, – ,,დიდ ტერორს“, რომელმაც არაერთი ქართველი მწერალი და იუბილესთან დაკავშირებული პიროვნებაც შეიწირა. მათ შორის: გერმანე მგალობლიშვილი, რომელიც 1937 წლის 10 აგვისტოს დახვრიტეს; მალაქია ტოროშელიძე, რომელიც 1936 წლიდან განათლების სახალხო კომისარი იყო, 1937 წლის 7 სექტემბერს (ზოგი ცნობით კი 9 ივლისს) დახვრიტეს. საიუბილეო კომისიაში შედიოდა მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც გამოიყვანეს კომისიიდან, დააპატიმრეს და დახვრიტეს; დახვრიტეს ასევე, საიუბილეო კომისიის წევრები: პეტრე აღნიაშვილი (ცაკის თავმჯდომარის მოადგილე), კარლო ორაგველიძე (თსუ-ს რექტორი), ტიციან ტაბიძე, ალექსანდრე ახმეტელი, ალექსანდრე დუდუჩავა (ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი) და აკაკი თათარაშვილი (განათლების სახკომი და შემდეგ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე). თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა. და, ეს სიაც არ არის სრული.

იუბილეს ფარგლებში *1937 წლის 22 და 23 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.* მოხსენებით გამოვიდნენ კორნელი კეკელიძე, ილია აბულაძე, შალვა ნუცუბიძე, ვუკოლ ბერიძე, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე ბარამიძე, სოლომონ იორდანიშვილი და სხვა, თითქმის ყველა ქართველი მეცნიერი, რომელთა სახელებთან დაკავშირებულია ქართული რუსთველოლოგიის განვითარება.

1937 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სახელწიფო მუზეუმის შენობაში გაიხსნა გამოფენა *,,შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“,* რომლის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს ივანე ჯავახიშვილმა, გიორგი ჩუბინაშვილმა და პავლე ინგოროყვამ. გამოფენას მუზეუმის ახალი შენობის ორი სართული ჰქონდა დათმობილი. ექსპოზიციამ არნახული ინტერესი გამოიწვია. მუზეუმს ექსკურსიებისა თუ ჩვეულებრივ დამთვალიერებელთა სახით მრავალი ადამიანი მიაწყდა,

მათ შორის რაიონებიდან ჩამოსულნიც.

გაზეთ ,,კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში კრიტიკულადაა განხილული ფილმი ,,ქაჯეთი“, მასში ,,გადაჭარბებული ზღაპრული შინაარსის“ შეტანის გამო. მითითებულია, რომ ,,ვეფხისტყაოსნის“ დადგმის მთავარი სიძნელე რუსთაველის შემოქმედების თავისებურებათა გაგებაში და მისი კინოხელოვნების ფორმებით განსახიერებაშია.

საიუბილეოდ საინტერესო გამოფენა მოეწყო აგრეთვე ქუთაისის მუზეუმში, ბათუმის ქალაქის საბჭოს დარბაზში და სხვ. რუსთაველისადმი მიძღვნილი ფართო გამოფენით გამოეხმაურა იუბილეს მოსკოვი, ბაქო, ერევანი, სსრკ-ში შემავალი სხვა რესპუბლიკების დედაქალაქები.

ილუსტრაციების კონკუსსრსში გამარჯვება მხატვარ ირაკლი თოიძის ნამუშებს ერგოთ. ამ ესკიზებითაა დასურათებული ,,ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო, 1937 წლის გამოცემა. მიჩნეულია, რომ ეს ილუსტრაციები დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა ქართული წიგნის გრაფიკაში. ხსენებული ნამუშევრებისათვის ირაკლი თოიძე მეორე ხარისხის სტალინური პრემიით იქნა დაჯილდოებული. აღსანიშნავია, რომ მხატვარმა ასევე შექმნა ორიგინალური სახელწოდების ტილო ,,ახალგაზრდა სტალინი კითხულობს შოთა რუსთაველის პოემას“, რომელშიც შერწყმულია საბჭოური და ეროვნული, სწორედ იმგვარად, როგორც ამას მოითხოვდა საბჭოთა პოლიტიკა კულტურისა და ხელოვნების დარგში.

ჟიურიმ შოთა რუსთაველის ძეგლის საუკეთესოდ პროექტად მიიჩნია მოქანდაკე კოტე მერაბიშვილის მიერ შექმნილი მაკეტი, რომლის საფუძველზეც *1942 წელს რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში დაიდგა პოეტის ძეგლი.*

,,ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო კინოსცენარზე წარმოდგენილი არც ერთი სცენარი და ლიბრეტო ჟიურიმ არ მოიწონა. ამის შემდეგ სახკინმრეწვს ეს საქმე კინორეჟისორ კოტე მიქაბერიძისათვის მიუნდია. კ. მიქაბერიძემ საკუთარი სცენარის მიხედვით მართლაც გადაიღო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ქაჯეთი“, რომელსაც საფუძვლად დაედო ,,ვეფხისტყაოსნის“ ერთი თავი. ნესტანის როლს თამარ ციციშვილი თამაშობდა, ტარიელისას - იმ დროის პოპულარული მსახიობი კოხტა ყარალაშვილი.

სერიით ,,გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ მოსკოვში დაიბეჭდა დ. დანდურეროვის მონოგრაფიული გამოკვლევა ,,შოთა რუსთაველი“, გამოქვეყნდა რუსთაველისადმი მიძღვნილი წერილების კრებული და სხვ. *მოსკოვის მ. ლომონოსოვის უნივერსიტეტში დაწესდა შოთა რუსთაველის 5 სტიპენდია,* კიევსა და მინსკში მოეწყო ,,ვეფხისტყაოსნის“ კითხვის საღამოები, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სკოლაში თუ შრომით კოლექტივში ჩამოყალიბდა რუსთაველის შემოქმედების შემსწავლელი წრეები.

საიუბილეოდ ,,სახელგამმა“ მასობრივი ტირაჟით გამოსცა ,,ვეფხისტყაოსანი“ პავლე ინგოროყვას შესავალი წერილითა და მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. წიგნი 7 მანეთი და 50 კაპიკი ღირდა (იმ პერიოდში საშუალო ხელფასი ქვეყანაში 500 მანეთს შეადგენდა).

პერიოდული პრესის ინფორმაციით, შოთა რუსთაველის 750 წლის საიუბილეოდ, ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრი ამზადებდა ბალეტს ,,ვეფხისტყაოსანი“ ნ. ვოლკოვის ლიბრეტოს მიხედვით. მუსიკას კომპოზიტორ ვანო გოკიელი ქმნიდა, მხატვრული გაფორმება კი მხატვარ სერგო ქობულაძეს ჰქონდა მინდობილი. სპექტაკლის საერთო მეცნიერული კონსულტანტი აკადემიკოსი იოსებ ორბელი იყო (ნიკოლაი ვოლკოვი ცნობილი რუსი დრამატურგი და ლიბრეტისტი იყო, თუმცა მის მემკ-

გაგრძელება გვ.5 ▶

ელიზბარ ზედგინიძე

ორი მხედარი



ვარძელი და შოთა გარიჟრაჟზე სოფლიდან ამხედრებულნი გავიდნენ. ვარძელი შაერა ტაიჭზე იჯდა. არასოდეს ელეოდა მას არც შორი მგზავრობის დრო, არც ჯირითში, არც ნადირობისას. ყველგან ეამაყებოდა თავისი გულარღო ცხენი. სწორედ ურჩობა მოსწონდა მისი. რაც უნდა დაღლილიყო, მუხლს არ შეიშლიდა, არ შედრკებოდა, ვიდრე მხედარი უნაგირზე იჯდა,

შოთას კი სამი ცხენი ჰყავდა, სამივე საკუთრივ დაგულებული. შევიდოდა თუ არა საჯინიბოში, სამივე ერთდროულად აჭიხვინდებოდა, თვითეული მზად იყო ზურგი შეეშვირა უნაგირისათვის, მაგრამ შოთა მხოლოდ ერთს ირჩევდა მათში, რომელიც იმ დღეს სჭირდებოდა. ორი დანარჩენი ანჩხლად აბაკუნებდა ტორებს. შორი-შორ ჰყავდათ დაბმული, თორემ ეძგერებოდნენ კიდეც ერთმანეთს. შორეულ მგზავრობისთვის მუხლმაგარი სინიბი ჰყავდა, სწორედ მისით იმგზავრა იყალთოში, როდესაც აკადემიაში წავიდა არსენასთან. მეორე ცხენი საფერხე იყო, ჩალისფერი, მომცრო და დინჯი, სოფლიდან სოფელში და ბაღ-ვენახებში გასასვლელად, მთაში მწყემსებთან გასამგზავრებლად, სადაც ხშირად მიდიოდა და დღეს ღამესთან ასწორებდა შაირობაში. სულ სხვა იყო თეთრი ცხენი, სალაღობო, მთლად უზადო, ნისლივით ჰაეროვანი, ფაფარიც კი მთლიანად თეთრად უქათქათებდა. ეს ცხენი სადღესასწაულოდ ჰყავდა განკუთვნილი. დღეობებზე, აღლუმებზე, ჯირითებში ყოველთვის ამ მოხდენილ ცხენზე ამხედრდებოდა და დიდსა და პატარას თვალსა სტაცებდა. ადგილზე შეთამაშებითაც კი ხიბლავდა გართობებზე თავმოყრილ ხალხს.

იმ დღეს შოთა თეთრაზე იჯდა. მეგობრები ქართლში მიდიოდნენ. ცხენები ძვირფასად დარახტული ჰყავდათ. დაევრცხლილი ლაგმით და ბრწყინვალე მოსართავებით შეკაზმული ზღაპრულ რაშსა ჰგავდა, შავი ტაიჭი კი, თავის ბრგე მხედრით, კანტავრს. ორივეს მოხდენილად ეცვა. მხრებზე მშვილდისრები, წელზე ხმალ-კაპარჭები. მიდიოდნენ ხალისიანად, პირმცინარედ. გზადაგზა ერთმანეთს აჯიბრებდნენ ცხენებს. დროდადრო ჩერდებოდნენ და გასცქეროდნენ ლურჯ სივრცეში მონავარდე ფრინველებს. ხანდახან მკვირცხლად ააჭენებდნენ მდელოთი მოფენილ ბორცვებზე. რამდენიმე წამს ცოცხალი ქანდაკებებივით ჩერდებოდნენ და მერე ისევ შარაგზაზე გადიოდნენ.

მეგობრები ვიწრო ხეობაში შევიდნენ. გაჩერდნენ და გაოცებული დასცქეროდნენ ხევში ატეხილ მდინარეს. მერე შოთამ მაღლა აიხედა და დაინახა ცის კიდურზე აფრენილი თეთრი ღრუბელი. თითქოს ციურ ქმნილებას შესცქერისო, სიყვარულით გასძახა: „სადა ხარ, შენ, მშვენიერო, ვითა მზეევ! მზე რო ამოდის, არასოდეს არ ჩაესვენება, მთელ სამყაროს ანათებს იგი, არც შენ ჩაესვენები, ნათელთ ნათელო! შენს სხივებში მინდა ვიცოცხლო. იმ დღეს დავწყევლი ჩემს თავს, რა დღესაც ვეღარ გიხილავენ თვალნი ჩემნი, შენ, მზეო ჩემო!...“

ვარძელმა შავრა შეაჩერა და სმენად გადაიქცა. მოსწონდა მეგობრის მეტყველება და ახლაც სულგანაბულმა მიუგდო ყური, მაგრამ მაშინვე გული დასწყდა, რადგან შოთამ სიტყვა შენყვიტა...

— კიდევ თქვი, რამე, — შეეხვეწა ვარძელი.

შოთამ მეგობარს სიყვარულით გადახედა და წამოიწყო ტუჩებზე მომდგარი შაირი თავისი წინამორბედისა, რომელსაც დღემუდამ შეჰხაროდა და შენატროდა;

მამისა ნიჭმან, სულისა ნიშმან,
ძის თანასწორად განსხვავებულმან —
გექმნა ცისკრად დღისად, მთიებად მზისად,
ვარსკვლავად ცისად, თვით უბინდომან...

ამ დროს მახლობელი ეზოდან ხმაური შეესმათ. ვარძელმა თვალი მოჰკრა ორბს, რომელიც ჩამოვარდნილ ქვასავით დაეშვა დაბლა, ეზოში ნიოკი ატყდა. ქათმები აკაკანდნენ, აწივწივდნენ წინწილები. დედაკაცებმა ორბს შეუტიეს, მაგრამ უნავარმა არად ჩააგდო ნივილ-კივილი, ერთ ყვინჩილას ბრჭყალები ჩაავლო და ნისკარტის ცემით ისარივით ავარდა ცაში. ვარძელს წამითაც არ დაუყოვნებია, მაშინვე მშვილდი მოიმარჯვა და ჰაერში ავარდნილ ფრინველს ისარი დაადევნა. ქალები მიაჩერდნენ უცებ ფრთებმოტეხილ ფრინველს. ხედავდნენ, როგორ ჩამოეშვა ორბი ბრჭყალებში დაბდღვნილ ყვინჩილასთან ერთად. ორივე უსულოდ დაეცა ძირს.

ორთა ცხენთა ტორების ცემამ შეაფხიზლა პირქუში კლდეები. ახლა ნაპრალებს მიადგნენ. შეჩერდნენ. ქარაფებიდან გადახედეს ღრმა უფსკრულებს, საიდანაც ძლივსღა ისმოდა მტკვრის დუდუნი. გზა ხევში ჩაეშვა. ნაპირამდე ჩავიდნენ და ახლა ქვევიდან ახედეს წამომდგარ ვიწრო კაპნებს. წყალვარდნილი აყრუებდა სმენას. ქუხდნენ კლდევიწროები, ჭაბუკები კი პირმცინარედ შესცქეროდნენ ამ ვიწროებს, თანაც ლაღად მიდიოდნენ მზით და სიცოცხლით გახარებულნი.

„ნეტავ თუ ვიხილავ?!“ — ოცნებობდა შოთა იდუმალ ფიქრში. ვარძელსაც კი არ უმხელდა საწადელს. სხივი ენთო შოთას სახეზე. ეს ახარებდა ვარძელს და გულმხიარულად მიჰყვებოდა მეგობარს ცხენდაცხენ, მხარდამხარ.

სოფლის შუაგული დარბაისლური სიმშვიდით გადასჭრეს. ხალხი ბანებზე გამოეფინა და უჩუმრად შესცქეროდა დიდებულად გამონყობილ მგზავრებს.

ერთმა ბერიკაცმა შეჰბედა:

— საით გაუწევიათ სასიქადულო მოყმეთ?..

ვარძელმა ისე შეხედა შოთას, თითქოს უთხრა, პასუხის გაცემა შენა გმართებსო.

— ნაჭარმაგევს მივეშურებით, მოხუცო! — მიუგო შოთამ თავაზიანად.

— ეგების ჩამობრძანდეთ, ხელი დაიმშვენოთ, გული ჩაიტკბოთ. თქვენს გასახარებლად ღვინოც გვაბადია და ნუგბარიც.

— მადლობას გიძღვნით, ბერიკაცო. შორეულები არა ვართ, რუისთავიდან მოვალთ, აგერ, აქვეა, ყურის ძირში, — მიუგო ვარძელმა.

— რუისთავიდან? — ჩაფიქრდა მოხუცი. — მაშ, შოთა გეცოდინებათ, მელექსე, ოქროპირი. ასე გამიგონია, დიდებულო ყმაწვილებო, თორემ არ მინახავს. ამბობენ, უბადლო მოშაირეაო!..

— მართალი უთქვამთ, ბერიკაცო, — ღიმილით დაუდასტურა ვარძელმა და მეგობარს გადახედა.

შოთამ ნათქვამი არ შეიმჩნია.

მოხდენილი მხედრების დანახვამ გაახარა ბერიკაცი. განა თვითონ კი არ ყოფილა ასეთ ბედაურზე ამხედრებული ძველად, ყრმობისა და ახალგაზრდობის წლებში?! ან ვინ არ იყო მაშინ მეომარი? ვინ არ იყო ხმლითა და ოროლით შეიარაღებული, როდესაც ახალგაზრდა უფლისწული დემეტრე შირვანში სალაშქროდ გაემართა?.. საკვირველი ბრძოლები გადაიხადეს. დავლასა და ალაფში სარჩევად ჰქონდათ ცხენებიც და აბჯარ-იარაღიც. ეს ბერიკაციც ნაომარი იყო. მასაც სცმია ჯავშანი, ზუჩი ჰხურებია. ბედაურზე ამხედრებული დაბრუნებულა გამარჯვებით. სოფელს თვალსა სტაცებდა მისი სიჩაუქე.

ბერიკაცმა თვალი გააყოლა ჭაბუკებს. დიდხანს უცქირა. მოგონებამ გაიტაცა და თავისი ცხოვრების გრძელ გზას გადახედა...

***

მთელ ღამეს მოძრაობდნენ გზები და ბილიკები. მთელ ღამეს ხმაურობდნენ სოფლები. ხმაურში იღვიძებდა დილა, იღებოდა იაგუნდით ალმოდებული ცისკარი. გამოჩნდა ცა და მიწა, გამოჩნდა მზე, განათდა ქვეყანა.

ნაჭარმაგევის თვალუწვდენი ველი სპითა და მონასპით მოფენილიყო. აღმართულიყო ჰოროლთა ტყე. ველისაკენ მიმავალ გზებზე არც ახლა ილეოდა მხედართა წყებები. ისინი ულეველად მოედინებოდნენ მთელი ქვეყნის უჩვეულო აღლუმზე. ცხენთა ფლოქვებისაგან ნისლივით აშლილი მტკვრის კორიანტელი ფარავდა გზის ნაპირებზე წამომდგარ ქოხებს, გომურებს, ღობეებსა და ფანჩატურებს. მხედრები მიეშურებოდნენ თავიანთი დროშებით — ალისფერით, ჩალისფერით, ცისფერითა და მზისფერით. იკრიბებოდნენ შვიდსა სამეფოთა შვილები — ერთგულნი ქვეყნისა და ძლევამოსილი მეფისა, ლომისა გიორგისა.

გუშინ მეფემ თავისი ასული, პირნათელი თამარი, თანამოსაყდრედ გამოაცხადა და დღეს მის სადიდებლად ღრეობას, აღლუმსა და გართობას მართავდა ნაჭარმაგევის სათამაშო სასახლეში და მის შემოგარენში.

დიდი და პატარა ლიახვის ნაპირებზე მოფენილიყო ხალხი. კონკილებზე შეეყენებინათ ღია და ჩარდახიანი ურმები, გაშლილიყო კარვები და სარაფარდები. ენთო უამრავი კოცონი. იწვოდა ფრინველი, ისმოდა დასაკლავად გამზადებული ძროხებისა და ცხვრების მწუხარე ბღავილი, ბატკნებისა და თიკნების კიკინი, ქათმების კრიახი და ბატების სივილი.

გარიჟრაჟიდანვე დადგეს ტაბლები და სუფრები, გარიჟრაჟიდანვე დაიწყო პურობა და სულ მალე ცარიელი ხელადები გაგორდნენ მწვანე ბალახებში. აქა-იქ წამოიწყეს გაუბედავი სიმღერები, მაგრამ მალე იმძლავრეს შეზარხოშებულთა გულებმა და ძლევამოსილი სიხარული მოედო ველსა და ლიახვის ნაპირებს. გამოცოცხლდნენ სოფლები ნაჭარმაგევი, ჩართული, კარბი, კურბითი, ტინისხიდი, ნადარბაზევი, ისინი ამერ-იმერთა მასპინძლები შეიქმნენ და მოყვასისათვის ფართოდ გააღეს თავიანთი სახლის კარები. ხალხი ღრეობდა; მღეროდნენ, ცეკვავდნენ, საკრავები ხმიანობდნენ და ამ ზარსა და გაგანში შუბის ტარზე აიყვანეს მზე.

ნაჭარმაგევის დასავლეთით მოდებული უღრანი ტყე, „აღსავსე ირემთა და ეშვთა მიერ“, სიგრილეს ჰფენდა მზის გულზე გაშლილ სოფლებსა და მის შემოგარენს.

წმინდა გიორგის ეკლესიის მახლობლად, ძმებივით გაზრდილი სამასწლოვანი კაკლების ძირში აღმართულიყო ოქროჭედილი სამეფო ტახტი. ჭკრეს სპერჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილათა. ხალხს ამცნეს მეფისა და თანამოსაყდრის მობრძანება. მიყუჩდა და გაინაბა სპა და ლაშქარი, გაისუსა ხალხი, შემოკრბნენ დიდებულნი და შეეგებნენ ჰერნი და კახნი, ქართლელნი და მესხნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი, იმერნი, სომხითარნი, აფხაზნი, სვან-მეგრელ-გურულნი და რაჭა-თაკვერ-მარგველნი.

სამეფოს ტახტის ორსავე მხარეს ჩამოსხდნენ პატრიარქნი და ეპისკოპოსნი. ვაზირნი, სპასალარნი და სპასპეტნი, ვინ ხელმარჯვნივ, ვინ ხელმარცხნივ მეფის ოჯახს თავს დასტრიალებდა მსახურთუხუცესი აფრიდონი. თვალებში შესცქეროდა თამარს, რას ისურვებსო, მას კი თვალი მიეპყრო ჯარისკენ, უცხოდ განლაგებულ ცხენოსანთა რაზმებისკენ. შუაგულ ველზე თამარი ხედავდა ნისლა ცხენზე ამხედრებულ ამირსპასალარს ყუბასარს, მრისხანესა და სასტიკს, როგორც ეს ბავშვობიდანვე ჰქონდა ჩანერგილი, ის მიუძღოდა მხედრობას, რომელთაც ტახტის წინ უნდა ჩაეარათ.

დაიქანცა ნინველა დედოფალი, თვალი დაეღალა მხედართა მკაცრი აღკაზმულობით. ჯაჭვ-მუზარადებში ჩამალულთ სახეც კი არ მოუჩანდათ, მოდიოდნენ მოზომილი ნაბიჯით და ამაყად ეჭირათ ზოგს ფარი და შუბი, ზოგს მშვილდი და ლახვარი, ზოგს ოროლი, ზოგს კი შუბთან მიტანილი ამოწვდილი მახვილი.

აღლუმი დამთავრდა და ნისლა ცხენზე ამხედრებული ყუბასარი რამდენიმე მხლებლით სამეფო ტახტისაკენ გაემართა. მიახლოებისთანავე დაქვეითდა, აღვირი მხლებლებს მიუგდო და თვითონ მეფისაკენ გაეშურა. მარდად ავიდა კიბეზე და მამის წინ თავდახრით გაჩერდა. გიორგიმ შევერცხლილ წვერზე ხელი ჩამოისვა, კმაყოფილება გამოხატა და მომლოდინე თვალი მიაპყრო მის წინ გაშლილ ველს. უნდა გამოეყვანათ დარუბანდის აღების დროს ბრძოლებში დატყვევებული მტრის მეომრები. მეფეს გადაეწყვიტა ამ ღირსშესანიშნავ დღეს, თანამესაყდრის პატივსაცემად, ტყვეები გაეთავისუფლებინა და მოთვინიერებულნი თავიანთი ქვეყნისაკენ გაეშვა. მართლაც სულ მალე გამოჩნდა ადამიანთა ბრბო, ჭრელ, შემოხეულ ტანსაცმელში საცოდავად რომ გამოიყურებოდა. ბრბოს უკან მისდევდნენ ქართველი მეომრები. მოდიოდნენ ციხისკენ ხელაპყრობილნი, დროდადრო მუხლებზე ეცემოდნენ, წელში იღუნებოდნენ და შუბლს მიწაზე ურტყამდნენ.

— ალაჰ, ილ-ალაჰ! — გაიძახოდნენ მოთქმა-ვედრებით.

ეგონათ, სასიკვდილოდ მიჰყავდათ და მწარედ გოდებდნენ.

— გათავისუფლებ, ვითა მონებს, რათა განიწმინდოს ულირსთაგან ამერ-იმიერის მიწა-წყალი! — ბრძანა გიორგიმ და აღმართული მარჯვენა, რომელშიც კვერთხი ეჭირა, ძირს დაუშვა.

მერე ველი გაიცალა და ბურთის თამაში გაიმართა. ერთმანეთს ეჭიდებოდა ორი სოფელი — ჩართული და ნადარბაზევი. კარგა ხანს გაგრძელდა ჭიდილი. ბურთი მოედნის გარეთ გავარდა, მხოლოდ ბინდისას გამოირკვა ნადარბაზევის გამარჯვება.

ბუკის ხმა გაისმა.

ნაჭარმაგევის უღრანი ტყიდან მონადირენი დაბრუნდნენ. ისინი გუშინ გავიდნენ ტყეში და ახლა ოქროჭედილი ტახტისაკენ მოეშურებოდნენ, რათა თანამოსაყდრე დედოფლისთვის თავიანთი ნანადირევი მიერთმიათ.

თამარის ყურადღება მიიპყრო ამ ხმამ. თვალი წარმართა მოედნის შუაგულისაკენ, სადაც ყმაწვილვაჟებმა ცხენები შეაჭენეს. სახეზე ალმური გადაეკრა, ღაწვები შეეფაკლა, წამოდგა და თვალგაშტერებით მიაცქერდა მონადირეთ.

— თამარ, სანატრელო, ნუ მიატოვებ ტახტს. იხილე ვითა დედოფალმა! — ნასჩურჩულა მამიდა რუსუდანმა.

თამარი მაშინვე დაჯდა.

ტახტის წინ შეჩერდა ერთი ცხენოსანი.

ელვის სისწრაფით დაქვეითდა, ცხენის ზურგზე გადაგდებული მრავალტოტება რქებით დამშვენებული ირემი გადმოიღო, ზურგზე მოიგდო და თამარის ფეხთა წინ დადო. დედოფალს ესიამოვნა. ყმაწვილ მონადირეს გაუღიმა და ისიც, ასეთი ჯილდოთი გახარებული, გაბრუნდა ცხენზე აუმხედრებლად.

აი, წინ გამოხტა ჩალისფერი ცხენი, სხარტად გადმოხტა მისი მხედარი და უნაგირიდან თეთრი ქურციკი გადმოიღო, მიართვა, — ესეც ჩემი ნანადირევიაო. თამარმა შეხედა მას, ყმაწვილმა დაიჭირა ალერსიანი მზერა, გაიხარა და გაბრუნდა, აგერ ვიღაცამ კანჯარი დააგდო ძირს. თამარმა მისკენ ნაზად წარმართა ხელი, — მშვენიერიაო, თითქოს უთხრა უსიტყვოდ.

აი შავი ტაიჭი მიიჭრა ტახტისაკენ...

ეს რა ნადირი მოუკლავს მის მხედარს?!

რა უცნაური ძღვენი მოუტანია?!

ყველა განცვიფრებული მიაცქერდა მას: მეფეც, ყუბასარიც, აფრიდონიც, რუსუდანიც. განცვიფრებული თამარი იჯდა შემკრთალი, ხმა ვერ ამოეღო, ყუჩობდა.

ვარძელმა მოკლული ვეფხვი გადმოიღო და ორივ ხელით, ბავშვივით ხელში ატატებული, თითქოს მძინარე ყოფილიყოს, ტახტის სიახლოვეს მიიტანა და მიწაზე ისე ფრთხილად დადო, თითქოს ეშინოდა, არ გაეღვიძოსო ამ საშინელ მხეცს.

ვარძელს ჯუბა ალაგ-ალაგ შემოხეული ჰქონდა, სახე დაკაწრული, ხელებზე ნასისხლარი ეჭნეოდა. იდგა თავდახრილი და მორჩილი, ჩუმი და უსიტყვო.

ნინ წამოდგა აფრიდონი, ჯერ მეფეს შეხედა, მერე თამარს და წარმოთქვა:

— თქვენს სამეფოში ვეფხვებთან მებრძოლი ყმაწვილები იბადებიან და იზრდებიან. აი ქვეყნის იმედი და მომავალი!..

გიორგის ესიამოვნა. გაუღიმა. დარბაისლურად გადახედა მხედარს და ერთი სიტყვით დააჯილდოვა:

— მძლეთა მძლე!..

ამ სიტყვებზე ვარძელმა აიხედა. აფრიდონს ესაუბრებოდა მეფე, მაგრამ თამარის ცნობისმოყვარე მზერა დაიჭირა. ისეთი თბილი, ისეთი წმინდა და წკრიალა თვალებისა, რომ ეუცხოვა კიდეც და შებრუნდა, წავიდა. უკან ფეხდაფეხ გაჰყვა შავრა ცხენი, სადავემიშვებული.

აი გამოეშურა დაევრცხლილი ლაგამითა და ბრწყინვალე მოსართავებით აღკაზმული თეთრა. ღრუბელივით აფრენილ ზღაპრულ რაშს ჰგავდა იგი. ტახტთან მიიჭრა და მოსხლეტილად შეჩერებული ცხენიდან მოსხლეტილადვე ჩამოხტა. ხელში ფრთებშეკეცილი ვებერთელა ფრინველი ეჭირა, თანაც ცოცხალი.

ვინ არის, იცი? — რა გაბედულად წარიმართა ტახტისაკენ! აგერ ავლო საფეხურები... ერთი, ორი, სამი, ათი... ოქრომჭედელ სელებს მიუხლოვდა, სადაც ისხდნენ ვაზირნი და სპასპეტნი. თამარის ახლოს გაჩერდა, დაიხარა, ფრთოსანი ცარიელ ხელზე შესვა, ფრთები გაუთავისუფლა და წელში გაიმართა.

ყველა განცვიფრებული მიაცქერდა.

ეს რა ფრინველია?!

პირველ წუთებში ვერ იცნეს იგი, მაგრამ მერე, როცა ფრთოსანმა გაშალა ფრთები, უცნაურ ფერებად ანთებული კუდი, იქ მყოფთ სახეზე სიამე გამოეხატათ.

— ფარშევანგი!... — წარმოსთქვა რუსუდანმა.

ცისარტყელის მსგავსად გადაიშალა ფარშევანგის ფრთები. მაღალ, წყობილ ფეხებზე შემდგარი ფრინველი ბრდღვინვით და წყრომით ადგილზე შემოტრიალდა, თითქოს უნდოდა, ყველასათვის დაენახვებინა ის ლამაზი ფეხები, რომლის დანახვაც მართლაც მხოლოდ ცისარტყელის ზოლებში შეიძლებოდა გამოდარების დროს, ისიც მინამქროლავ ცაზე.

— ბრწყინვალე ფრინველია! — წარმოსთქვა მეფემ.

— განსაცვიფრებელი! — დაუმატა რუსუდანმა — თამარის გასართობ ბაღში მივუჩენთ ბინას.

შოთა მდუმარედ იდგა. მისი მზერა ერთის სახიდან მეორისაზე გადადიოდა. ეწადა გაეგო, ვინ როგორ მიიჩნია მისი საჩუქარი. თავდაპირველად მეფეს შხედა, მერე თვალი მის ასულზე გადაიტანა. პირველი ბრწყინავდა სიმკაცრით, მეორე კი კდემამოსილებით. და ამინც, შვილი მამას ჰგებდა თავდაჭერილობით, გულდინჯობით, ამაყი იერით.

შოთა შესცქეროდა ასულს და თავისთვის ჩურჩულებდა: ლეკვი ლომისა სწორია...

ნამიერად ჩაფიქრდა და ისევ ის სიტყვები გაიმეორა: ლეკვი ლომისა სწორია...

აი, თამარმა შოთას შეხედა, უცქირა... თითქოს რაღაცის თქმაც ეწადა, მაგრამ ბაგე ბაგეს ვერ მოაცილა, მერე წყნარად, პირმცინარედ, ჩალუნა თავი. გრძელმა წამწამებმა დაფარეს თვალთა გიშერები.

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია... — გაივლო ფიქრად და ისევ თამარს მიაპყრო თვალი, ეგებ კვლავ გამოიხედოსო, ეგებ კვლავ აღიმართოს წამწამთა ისრები.

არა... აღარ მიუხედავს თამარს შოთასაკენ. ის ერთი შეხედვაც წყალობა და ჯილდო იყო, შეხედვა, რომელიც სახსოვარივით უბოძა ბრწყინვალე დედოფალმა.

— ვისი მოყმეა? — ჰკითხა მეფემ მსახურთუხუცესს.

აფრიდონი შეშფოთდა, არ იცოდა, რა ეპასუხა. ისიც პირველად ხედავდა ყმაწვილს, მაგრამ არ დაბნეულა, უცებ მოისაზრა და მშვიდად მიუგო:

— ვინ იქნება თუ არა თქვენი ყმა, მეფევ, დიდებულო!

— ტბილისს დაიბარე! — ბრძანა ჩაფიქრებით, მერე მოედანს გახედა, კარგა ხანს ათვალიერა მხედრები და ქვეითები, თითქოს ვიღაცის დანახვა ეწადაო და დაუმატა: — ისიც, ვეფხვის შემჭიდე... მძეთა მძლე!..

ერთი თვის შემდეგ ორმა მოყმემ ისნის სასახლის გალავანში მოკრძალებით შეაბიჯა. მათ აფრიდონი შეეგება. ხეხილვან ეზოში ფარშევანგი დააბოტებდა, როგორც ამ ბაღნარის ბატონ-პატრონი. ადამიანთა დანახვაზე ფრინველმა ფრთები გაშალა, აიფხორა და კარგა დიდი წრე შემოხაზა, თითქოს შემოსულთ თავისი ლამაზი ფრთების გაშლით მიესალმაო.

როდესაც მორთულ-მოოჭვილი პალატებისაკენ ამავალი კიბე ავლეს, გრძელი, ფართო დერეფნის ბოლოში ვეფხვის ფიტული დაინახეს. ორივენი გულმშვიდად მიუახლოვდნენ. ვარძელს გაეღიმა. ვეფხვი უღრენდა მას, სწორედ ისე, როგორც ნაჭარმაგევის ტყეში, როდესაც ვარძელმა მახვილი აღმართა მასზე.

მეფემ ორივე მოყმე სასახლის კარზე დატოვა.

თამაზ ზერეკიძე

უპასუხო ფიქრები

ერთ ფიქრს ანკესიც იჭერს, მრავალს სჭირდება ბადე,
იღბალი ხან თუ გეტრფის, ხან ძმარს ცხვირიდან გადენს,
უფრო მიზიდავს კითხვა, ფსკერზე რაც უფრო ღრმად დევს,
თუმც თუ ბერწდება ფიქრი, პასუხებს ვეღარ ბადებს.
არვინ ყიდულობს მართალს, აღარც აზრი აქვს წუწუნს,
დასტური ვეღარ მითქვამს, დილიდან ვიწყებ – „თუ, თუს“,
გაღმითაც არ მსურს წასვლა – ვერ ვეგუები უკუნს,
ადამის ცოდვის გამო ვართ დაწყევლილი ნუთუ?
ფეხი აუდგამს ნამუსს, გადაკარგულა რიდიც,
ზოგს გაუთავდა სული და ახლა სხეულს ყიდის,
არის გზა სუფთა, სწორი, ზოგ გზაზე ჭარბობს ბინდი,
შენ მიზანი თქვი თორემ, სადღაც ყველა გზა მიდის.
გავუმიჯნურდით ეშმაკს, ფეხებს ვბანთ უღირს ბატონს,
ვერ გამიგია ზოგჯერ, რა რჯულს ვეკუთნი, რა ტომს,
ღმერთს თანადგომა უნდა, ვერას გახდება მარტო,
და თუ ორგულებს დაგვსჯის, ვეღარც კი ვკითხავთ – რატომ?
კაცთა შური და ქიშპი უპირველესად გულს ღლის,
სიცოცხლე გარბის ჩქარა, ბევრად მეტს ცოცხლობს შუღლი,
ბოროტთან ომი არ მღლის – ბოროტთან ზავი დამღლის,
ვარ მოტრფიალე გარჯის, მაგრამ მოძულე უღლის.
ზამთარში ველი ქარბუქს, გაზაფხულობით წვიმას,
არ მელოდება ბედი? – არც მე დავუცდი იმას,
უნამუსობა ფხიზლობს, როდესაც ნამუსს სძინავს,
არ ვარგა მეფე როცა ვარამს აბრალებს წინას.
რომ დამიწუნა სატრფომ, ახლა რა ვუთხრა იმ ვარდს,
ხან ყვავილს ვგლოვობ დამჭკნარს, ხან ვემსგავსები მყინვარს,
მუხა დგას, რაში მირბის, მე კიდევ ისევ ვზივარ,
მოვსულვარ ნეტავ რისთვის – ვერც ის გავიგე ვინ ვარ.
ვერ დაგეწიე ჟამო, ნაბიჯით მუდამ წინ ხარ,
ბინდი მოსულა უკვე, ვეღარ გდევ, ალბათ, დიდხანს,
იქნება ახლა მითხრა, რაც არასოდეს გითქვამს,
მითხარ, სად მიდის ეს გზა, საით მიგყავარ, მითხარ,
ზოგია – ირჩევს სწორ გზას, ზოგიერთი კი ხვეულს,
ერთია – ანგელოზს ჰგავს, მეორე – ეშმას, წყეულს,
მე კი არცერთი არ ვარ, უფრო მგელს ვგავარ, ეულს,
ჰოდა, ვით ნაღდი მგელი, გზას ვერ დავაგდებ ჩვეულს.
იყო, იქნება კვლავაც, კეთილიცა და ავიც,
ლუკმას დაეძებს ყველა: ტურა, ლომი და სვავიც,
ათასი წელი გვჯიჯგნეს, ბედი გვარგუნეს შავი,
ღირს კი სამშობლო ჰგავდეს ზედმეტად ლამაზ ყვავილს?!
ვით დავიჯერო იღბლის, თუ ხმა ქვითინის ისმის.
არ გაჩენილა მეფე – გაძღეს კუთვნილით მისით,
ვეღარც მოძღვრისას ვიგებ, აღარც რა მჯერა მისნის,
აღარა მწყალობს ღმერთი, ალბათ, თუ მტოვებს ისიც.
სიცოცხლეს ვიჭერ – გარბის, სიკვდილს გავურბი – მიჭერს,
გაღმა სოფელში წასვლას თავაზიანად მირჩევს,
მაგრამ ღიმილი ყალბი საფიქრალს ასეთს მიჩენს:
თავად სიკვდილი, ნეტავ, თავს რა ჯანდაბით ირჩენს?
ზოგჯერ მამწუხრებს ესეც – ხუნდი ვერ დგება მტრედად,
ქოფაკზე ავი ვხდები, ლეკვი თუ უყეფს დედას,
დაბადებაზე ძნელი იყო და არის ხედვნა.
ცუდის გაზრდისთვის უფრო თავად გამზრდელებს ხვდებათ.
მშობლის ნათესი სითბო ახლაც ხურჯინით დამაქვს,
როგორც შვილს მზრდიდა დედა, კაცად მაქცია მამამ,
წუთისოფელი, თურმე, ბოლოს იქცვა წამად,
ამდენი ფიქრი, დარდი, ნეტავ თუ ღირდა ამად?!

დურმიშხან ბერიძე

***

ისევ ჩამთვლიმა,
ჩამეძინა,
მოდის ზამთარი,
ისევ მომესმის
შორეული,
შენი ხმა ლბილი,
ო, ეს ფიქრები
უცაბედი
და მინავლული...
ბილიკთან ვდგავარ,
გითვალთვალებ, –
როდის ჩაივლი...
ისევ შრიალებს
მხრებგაშლილი
ტყემლის ძველი ხე,
ასე მგონია,
გუშინ გითხარ
ჩემი სათქმელი,
ვერ დავივიწყე
ის დღე, როცა ხელი შეგახე,
ვდგავარ და გიცქერ,
წახვედი და
აღარ დაბრუნდი.
ცაც ისე დარჩა
როგორც იყო
მთის თავზე მდგარი,
ქარმაც წაიღო,
წამოხვეტა
რაც რომ მებადა,
ო, ღმერთო ჩემო,
როგორ სწრაფად
გასულა ეს დღეც,
თვალის გახელას
ვეღარ ვასწრებ, –
უკვე დაღამდა.

მარი თაბაგარი

უფალო, ჩემს ტაოს კედლები ეშლება

ჩემს ტაოს კედლები ეშლება, მიშველე!
მის ბებერ საძირკველს ობი და ხავსი აქვს;
დარღვეულ ტაძრების გუმბათის სიშიშვლე,
აშიშვლებს ამ ქვეყნის ძალას და ხასიათს.

ღრიალებს, მობღავის მთებიდან ჭოროხი,
უნდა, რომ ჩაახშოს გალობა მოლების
და თუ კი აწმყოში ატირდა მარუხი,
ტაოს ცრემლი ადგას სანატრელ შორეთის.

მწუხრში სევდიანი დუდუნებს საფლავი,
ქართველთა საძვალეს გვახსენებს აშოტი:
,, – ნუ შეუშინდებით, სიმტკიცე სად არის,
სად მიექანებით და რატომ დამშორდით?!"

სინას მთაზე იხმო უფალმა მოსე და
მცნებები გადასცა ადამის მოდგმისთვის;
ჩვენ კი კლარჯეთიდან ღვთის მადლი მოგვსდევს და
თან ბაგრატიონთა ძალ-ღონე მოგვკივის.

ერთია აშოტის მცნება და ანდერძი,
სიმტკიცე ერის და შენება ქალაქთა.
თუმც ჩვენი სინას მთა – ტაო და კლარჯეთი,
ერთობის აკვანი და ცოდნის ბარაქა.

დღეს აზანს უსმენს და ერევა გონება,
ქარები წეწავენ ჭაღარას ბებერ მთის;
ჩვენც დაგვვიწყებია უფლის შეგონება,
კეისარს კეისრის ვუბოძოთ, ღმერთს კი ღმრთის.

გულს მიკლავს მინარეთს კივილი მოლის და
მდუმარედ მტირალი ოშკი და პარხალი.
გამწყრალი ღმერთისგან მადლი არ მოდის და
მიწების გაყიდვით მკლავი გვაქვს გამხმარი...

სევდით დაოსილი სდუმს გრიგოლ ხანძთელი,
უდაბნოს ხორშაკებს ცრემლი რწყავს თვალთაგან.
ვერაფერს გავხდებით ტკივილთან გაქცევით
და დავქუცმაცდებით დუმილით თანდათან.

ყველა ქვა, ლოდი იშხნის თუ ოპიზის
მშობლიურია, – დრომ მისკენ დამძალა,
აქ მამის დაკარგვით გული რომ მომტირის,
ტაოც ასე მტკივა, ჩემი ზურგის მალა.

მინდა, მივეახლო შატბერდს და არტანუჯს,
ქართული გალობა ვისმინო ბანაში.
სიმცირე რომ სტკივა ამ მიწას დატანჯულს,
დედებმა იმძლავრონ ტკბილ იავნანაში.

ღამე რომ გამოფენს ზეცაზე ნაშიერს,
იმ ბნელში აჩრდილად მოსული მუმლია;
მერე რომ საზღვრებზე ავლებენ არშიებს,
გვართმევენ, სადაც ჩვენს წინაპრებს უვლიათ.

ხან წვიმის ნაჟურს და ზოგჯერაც სტიქიონს
რა ძალით გადურჩა იშხნის ეს ფრესკები,
რომ ასომთავრულის თბილ, ნატიფ სტრიქონებს
კედელზე ჩვენი აქვთ ეშხიც და ფესვებიც.

ვინც კი აღადგინა ჩამოშლილი კარი,
ლოცვებად ითხოვა ცოდვების შენდობა.
აბა, როგორ დავთმო, ღმერთო, ხერხემალი,
როცა სამშობლოსი ტერფიც არ მეთმობა?!

ერთობის ქვაკუთხედს ვხედავ მე ტაოში,
ბუმბერაზ მთებში კი ცხოვრების ყავარჯნებს.
ამ მთებში ითბობდა თვის სხეულს გათოშილს
წმინდანი, ვაზის ჯვრით მოსული ჯავახეთს.

სულის ხოშკაკალა იმედებს წამოშლის,
დროს ვერ შეაშინებს გუმბათის სიშიშვლე.
არტახებ დახსნილი ჩავიკრა სამშობლო
გულში, გთხოვ უფალო, მომეცი სიმშვიდე!

მიშველე, დღეს ტაოს კედლები ეშლება!

რევაზ აბზიანიძე

ფიქრის აღმართს შევუყევი თამამად

როცა ფეხით გადათელეს ხახამა
გული ცივი იყო, როგორც ყინული,
მზემ თვალები ღრუბლით დაახამხამა,
შავით უცებ შეიმოსა ხილული.

წარმოიშვა გულში გრძნობის მორევი,
მოზეიმე არ ვიყავი იმჟამად,
არ გამოჩნდა ირგვლივ ჩემი მომრევი,
ფიქრის აღმართს შევუყევი თამამად.

ქართველებში ეს არ უნდა მოხდეს!

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“–
მთა მთას შეხვდეს,
ზეცას მთვარე მოსწყდეს, –
ყველაფერი შეიძლება მოხდეს.
ტალღა მოსკდეს,
გულს ისარი მოხვდეს,
ყველაფერი შეიძლება მოხდეს.
სიტყვა მოსხლტეს,
სადღაც კაცი მოკვდეს,
ვიტყვი, ესეც შეიძლება მოხდეს!
გული მოცვდეს,
კლდესაც ქასრა მოსწყდეს,
ხალხო, ესეც შეიძლება მოხდეს,
ოცნებები უხდენელი ახდეს.
ვაჟიკაცი სულ უბრალოდ წახდეს
და პოეტი ვერაფერს ვერ გახდეს,
აი, ესეც შეიძლება მოხდეს,
მტრის ავ სურვილს
ჩვენი ტყვია ასცდეს.
ხალხო, ეს არ შეიძლება მოხდეს
და მთავარი –
საქართველოს აფხაზეთი მოსწყდეს,
აი, ეს არ შეიძლება მოხდეს!
ბზარი გაჩნდეს,
გული გამჩენს გმობდეს,
ქართველებში ეს არ უნდა მოხდეს!

ცოტამატა მომისმინე ქალო

ცრემლმომდგარი გულს მიჩუყებ ძლიერ,
ცრემლი მოგდის დღეში ერთი ოყა,
ცუნდრუკობა ხდება სხვების მიერ,
მინდა კოცნით შეგიმშრალო ლოყა.

ცოტამატა მომისმინე ქალო,
უნდობლობის მოვარღვიოთ ხიმე,
საკუთარი თავი არ აწვალო,
შუბლი გახსენ, წყნარად გაიღიმე.

შოთა რუსთაველის პირველი იუბილე (1937 წ.)

▶ დასაწყისი გვ.1,2

ვიდრეობაში არ მოიხსენიება ,,ვეფხისტყაოსნის" ლიბრეტო. როგორც ჩანს, დრამატურგმა მასზე მუშაობა ვერ დაამთავრა. ვანო გოკიელს კი 1935-1938 წწ. შექმნილი აქვს 3 ქორეოგრაფიული სუიტა ბალეტისათვის ,,ვეფხისტყაოსანი").



ნახ. თამარ აბაკელიასი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში საკონცერტო შესრულებით დაუდგამთ კომპოზიტორ შალვა მშველიძის ოპერა ,,ვეფხისტყაოსნის" პირველი აქტი. რუსთაველის თეატრი მუშაობდა ,,ვეფხისტყაოსნის" ინსცენირებაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიუყვანიათ. რეჟისორმა გიორგი ჟურულმა ,,ვეფხისტყაოსნის" საფუძველზე მოამზადა პიესა, თუმცა დადგმა არც ერთ სცენაზე არ განხორციელებულა. კინორეჟისორი ლეო ესაკია მუშაობდა პოეტისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიული ხასიათის ფილმზე ,,შოთა რუსთაველი". მიიჩნევდნენ, რომ ეს ფილმი პოემის ეკრანიზაციის ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იქნებოდა. სამწუხაროდ, რა ბედი ეწია გადაღებას, უცნობია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ფილმი კინორეჟისორის ბიოგრაფიაში არ მოიხსენიება. არსებობს ასევე ცნობა, რომ საკინმრეწვი შეუდგა ორსერიიანი მხატვრული ფილმის ,,ვეფხისტყაოსნის" გადაღებას, ოღონდ, რა წყაროს ეყრდნობა ინფორმაციის ავტორი, უცნობია. დამატებითი მასალა ამ საკითხის ირგვლივ არ იძებნება.

წარმატებით დასრულდა შალვა ჩაგუნავას დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით ,,შოთა რუსთაველი" (ნარკვევი). იგი კინოეკრანებზე 1938 წელს გამოვიდა. სურათში შოთა რუსთაველს საიუბილეო დღეთა მოვლენებიცაა ასახული.

რუსთაველის იუბილეს დამაგვირგვინებელი ღონისძიებები 1937 წლის ბოლო დეკადაში – 24-30 დეკემბერს გაიმართა. თბილისს უამრავი სტუმარი ეწვია. ჩამოვიდა საბჭოთა მწერალთა მრავალრიცხოვანი შემადგენლობა: ა. სერაფიმოვიჩი, ნ. ტიხონოვი, ა. ფადეევი, დ. ბედნი, ი. ერენბურგი, პ. ტიჩინა, მ. ბაჟანი, მ. შაგინიანი, ს. ვურღუნი და სხვ. საზღვარგარეთიდან სამიოდე მწერალი ჩამოვიდა, კერძოდ: ბელევი (ბულგარეთი), პლია ი ბელტრანი (ესპანეთი) და ლაქსნესი (ისლანდია). იუბილე რუსთაველის სახელმწიფო თეატრში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმით დაიწყო და თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ მოწყობილი მასშტაბური ზეიმით დასრულდა.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა სსრკ მწერლათა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ს. სტავსკიმ. ძირითადი მოხსენებებით გამოვიდნენ: 1. პავლე ინგოროყვა (*,,რუსთაველი და მისი ეპოქა"*); 2. პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი (*,,რუსთაველი და და თანამედროვეობა"*); 3. პროფ. ივანე ჯავახიშვილი (*,,ქართული ფეოდალური სახელმწიფო"*) და 4. საქ. კპ(ბ) ცკ-ს განყოფილების გამგე კანდიდ ჩარკვიანი (*,,ქართული საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე"*). მოისმინეს ასევე მოხსენებები: ნ. ტიხონოვის *,,პოეტი და სამყარო"*, პ. პავლენკოს *,,ვეფხისტყაოსანი"* და სხვ.

პლენუმმა ერთი საყურადღებო დადგენილება *მიიღო: მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების წინაშე უნდა დაესვათ საკითხი, რათა საშუალო სკოლების უფროსი კლასების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეეტანათ შოთა რუსთაველის პოემის ,,ვეფხისტყაოსნის" შესწავლა.*

დასკვნითი საღამო, ანუ მთავარი საიუბილეო დღესასწაული, შედგა 29 დეკემბერს, ოპერის თეატრში. გერონტი ქიქოძის სიტყვით, *,,თეატრის ფასადზე რუსთაველის დიდი სურათი სტალინის, ეჟოვისა და ბერიას სურათების გვერდით იყო მოთავსებული. თვით მაყურებელთა დარბაზი სავსე იყო ყურებდაცქვეტილი ჩეკისტებით; საზოგადოება იძულებული იყო ფეხზე დამდგარიყო სტალინისა და მისი თანამოღვაწეების სახელების გაგონებაზე. ეს სახელები კი ბევრად უფრო ხშირად ისმოდა, ვიდრე ,,ვეფხისტყაოსნის" ავტორის და გმირების სახელები".*

შოთაობა მუსხში - 1937 წელი

გერონტი ქიქოძე იგონებს იუბილესთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საყურადღებო ფაქტს. მისი გადმოცემით, *,,ბერიამ განიზრახა სამხატვრო გალერეის შენობა აეგო მეტეხის ციხის გალავანში და იქვე რუსთაველის ძეგლი დაედგა. ... თავისთავად ეს პროექტი არ იყო ცუდი, მაგრამ მის განსახორციელებლად მეტეხის ეკლესიის დანგრევა იყო საჭირო".* ცნობილია, რომ ბერიას და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია დიმიტრი შევარდნაძემ, რომელიც ამ საქმეს შეეწირა კიდეც.

იუბილემ კომუნისტური ხელისუფლების მთავარი ჩანაფიქრი შეასრულა, – გაიზარდა ქართული კულტურის ცნობადობა არა მარტო საბჭოთა სივრცეში, არამედ უცხოეთშიც. იუბილეს შედეგად მომზადდა და დაიბეჭდა პოემის აკადემიური გამოცემა ქართულ ენაზე, ,,ვეფხისტყაოსანი" ითარგმნა უკრაინულ, ბელორუსულ, სომხურ, უზბეკურ, თურქმენულ, ბაშკირულ და სხვ. ენებზე, გამოქვეყნდა მისი რამდენიმე რუსული თარგმანი, ფრანგულად და ინგლისურად გამოიცა პოემის პროზაული თარგმანები, თბილისში აღიმართა პოეტის ძეგლი (1942 წ.). *,,გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იუბილეს წყალობით ,,ვეფხისტყაოსანმა" მსოფლიო და საბჭოთა მრავალეროვან ლიტერატურაში მისი კუთვნილი ადგილი დიკავა".* პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვით, *იუბილე იყო ,,რუსთაველის მეორედ დაბადება".*

ყოველივე ამასთან ერთად, აუცილებელია ითქვას ისიც, რომ იუბილეს სხვა, – საბჭოური მიზანდასახულობაც გააჩნდა. 30-იან წლებში, როცა უკვე დასრულებული იყო ,,მწერლობის პოლიტიზაცია", ამგვარი იუბილეები თითქმის სისტემატურად იმართებოდა. აღინიშნა გოეთეს გარდაცვალებიდან 100, მ. გორკის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40, ლ. ტოლსტოის გარდაცვალებიდან 25, ა. სერაფიმოვიჩის დაბადებიდან 70, ბ. ბელინსკის დაბადებიდან 125 და სხვ. იუბილეები. ამ იუბილეებს, როგორც კულტურულ აქციებს, საზოგადოებრივად აუცილებელი კამპანიის ხასიათი ეძლეოდა. თანამედროვეობიდან ლიტერატურის ისტორიაში გადანაცვლება ერთგვარი იდეოლოგიური მანევრი იყო, რომელსაც საბჭოთა საზოგადოების ყურადღება მიმდინარე მწვავე პრობლემებიდან სხვა მიმართულებით უნდა მიემართა. ამიტომაც წერდა ირაკლი აბაშიძე, რომ ეს იუბილეები *,,ნაძალადევი, ნირწამხდარი, ხელოვნურად ზეიმური იყო",* რომ მათ *,,ეპოქისმიერი უკიდურესი დაძაბულობა და აშკარა უდროობა ეტობოდა".* რაც შეეხება რუსთაველის 750 წლისთავის საიუბილეო ზეიმს, პოეტის სიტყვით, იგი სულაც *,,ჟამიანობის დროინდელ წვეულებას დაემგვანა".*

გავრცელებულია აზრი, რომ საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი ი. სტალინის, და შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების შეცვლა უცხოეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს განეპირობებინოს, რომლებშიც დიდი ბელადი *,,ველური ქვეყნის შვილადაა"* გამოყვანილი. თითქოს ამ უსამართლო ბრალდების გასაცამტვერებლად სტალინმა ქართული კულტურის პოპულარიზაცია განიზრახა. ირაკლი აბაშიძე გვიმოწმებს, რომ ,,ვეფხისტყაოსნის" იუბილეს გამოც ყოფილა ,,მითქმა-მოთქმა", რომ ესეც *სტალინს დასჭირდა მსოფლიოში თავისი ავტორიტეტის ამაღლებისა და განმტკიცებისათვის და არც ეს არის გამორიცხული.*

ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი ავთანდილ ნიკოლეიშვილი მიიჩნევს, რომ სტალინმა *,,ამ სახით მთელ მსოფლიოს ... მაშინ არა მარტო მისი მშობელი ერის უძველესი და უდიდესი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ლიტერატურულ მემკვიდრეობა დაანახა პირველად, არამედ არაპირდაპირი ფორმით ისიც უთხრა, რომ იგი რომელიმე უკულტურო და ინტელექტუალური განვითარების გზაზე ახლად ფეხშედგმული ხალხის შვილი კი არ იყო, არამედ იმ ერის წარმომადგენელი, რომელსაც ჯერ კიდევ XII საუკუნეში ჰქონდა დაწერილი მსოფლიო ლიტერატურის ისეთი უნიკალური შედევრი, როგორიც ,,ვეფხისტყაოსანია".*

ნახ. სერგო ქობულაძისა

,,შესაძლოა ამ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა მართლაც ჰქონდა, მაგრამ ამ ძირეულ იდეოლოგიურ შემობრუნებას გაცილებით უფრო სერიოზული მიზეზები განაპირობებდა" და იგი ,,სრულკომადის" - ,,სრულყოფილი კომუნისტური ადამიანის" - აღზრდას უკავშირდებოდა, რაშიც ,,საბჭოურად გამართულ" ისტორიასთან ერთად, თავისი სიტყვა ,,სოციალისტურ რეალიზმსაც" უნდა ეთქვა, რომელიც სწორედ იმ ხანებში ლიტერატურასა და ხელოვნებაში მთავარ მეთოდად მკვიდრდებოდა. ეს ყოველივე კი ამ დარგების პოლიტიკის სამსახურში ჩაყენებას, მათ ინსტრუმენტალიზაციას ნიშნავდა. საბჭოური სინამდვილის, კომუნისტური იდეოლოგიის სამსახურში უნდა ჩაეყენებინათ პუშკინიც, ილია ჭავჭავაძეც, ტარას შევჩენკოც, შოთა რუსთაველიცა და სხვ. შემთხვევით არ გახაზავდა თავის საიუბილეო მოხსენებაში ვალერიან გაფრინდაშვილი: ,,ქართველი პოეტები გრძნობენ, რომ დიდი პოეტის დაუხმარებლად ისინი ვერ ასახავენ ჩვენ სოციალისტურ ეპოქას, მისი გრანდიოზული ძვრებითა და მიღწევებით". პერიოდულმა პრესამაც რუსთაველის იუბილე *,,საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერნაციონალურ ზეიმად, განთავისუფლებელი ერების ნამდვილ ხალხურ დღესასწაულად"* წარმოაჩინა, ხოლო პოემის შესახებ მიუთითა: ,,ვეფხისტყაოსანი" ნამდვილად გადაიქცა სახალხო საკუთრებად, მშრომელი მასების სიმდიდრედ".

იუბილეს დღეებში სავსებით მართებულად წერდა აკაკი შანიძე, რომ *,,ფართო მასშტაბით ჩატარებული რუსთაველის საყოველთაო ზეიმი, – ეს არის კულტურული რევოლუციის ერთი საუკეთესო გამოხატულებათაგანი".* კულტურული რევოლუცია კი მნიშვნელოვანწილად მიზანმიმართულად წარმართული პოლიტიზებული, იდეოლოგიური ლოზუნგი იყო, რომელიც წარსულის სულიერი მემკვიდრეობის პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების შესაბამისად გადააზრებას გულისხმობდა.

დაბოლოს, იუბილეს თანადროულ პერიოდულ პრესაში შეიმჩნევა ერთი შეუსაბამობა, რომელსაც პირველმა ყურადღება რუსმა მკვლევარმა კ. ბოგდანოვმა მიაქცია. კერძოდ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ერთსა და იმავე გაზეთში გვხვდება სათაური, რომ აღინიშნება შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავი და, ასევე, რომ ზეიმობენ მისი პოემის 750 წლის იუბილეს. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ასეთი შეუსაბამობა ზოგჯერ ცალკე აღებულ ერთ პუბლიკაციაშიც კი შეინიშნება, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, მაშინ ყურადღება არავის მიუქცევია. სინამდვილეში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1934 წ. 20 აგვისტოს დადგენილება პოეტის დაბადებიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად მიიღო. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1966 წელს ნამდვილად შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800, ხოლო 2016 წელს 850 წლის იუბილე აღინიშნა, მაშინ გამოდის, რომ 1937 წელს პოემის შექმნის 750 წლისთავი უნდა ეზეიმათ და არა მისი ავტორისა, რომელიც ამ გამოთვლით 1166 წელს დაბადებული გამოდის. ეს კი ნიშნავს, რომ 1937 წელს მას 771 წელი შეუსრულდებოდა და არა 750.

როგორც ითქვა, იუბილემ მისი ინიციატორისა და ორგანიზატორების მთავარი ჩანაფიქრი შეასრულა, ამაღლდა ქართული კულტურის ცნობადობა როგორც საბჭოეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იუბილემ ნამდვილად შეუწყო ხელი ,,ვეფხისტყაოსანის" პოპულარიზაციასა და მსოფლიო ლიტერატურაში მისთვის კუთვნილი ადგილის მიჩენას. ამასთან, შოთა რუსთაველისა და მისი ქმნილების ეს პატივდება ლიტერატურის, ზოგადად, კულტურის პოლიტიკის სამსახურში ჩაყენების, მათი ინსტრუმენტალიზაციის მკაფიო გამოვლინებაც იყო.

პირველი პუბლიკაცია იხ. კრებულში: ,,რუსთაველი და საქართველო" - სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ხაშური, 2017.

შოთა რუსთაველი

შესავალი

მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობაში წესად იყო, მეზობლები თავის შეყრა ოჯახებში, განსაკუთრებით ზამთრის გრძელი ღამეების დროს, როდესაც ნადური წესით ქსოვდნენ ფარდაგებს, ხალიჩებს, ჭილს, ხურჯინს და აწარმოებდნენ შალისა და ნაბდის თელვას და სხვა. მაშინ გმირული ამბების მთქმელები რიგრიგობით იწყებდნენ წინაპართა გმირული ამბების მოყოლას, პირველ რიგში ისინი ყვებოდნენ ზეპირ გადმოცემებს საყვარელი მგოსნის შოთა რუსთაველის ვინაობის ტრაგიკულ ამბებს.

მათ ზეპირად იცოდნენ „ვეფხისტყაოსნის“ თავები, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სოფლებში „ვეფხისტყაოსნის“ წიგნი თითქმის არც კი არსებობდა, მაგრამ მისი გმირების და ავტორის ვინაობას ზეპირი სიტყვებით როგორც მოვალეობა, ისინი გადასცემდნენ შვილებს, როგორც ამანათი თაობიდან – თაობაზე, საუკუნიდან – საუკუნემდე.

იმ დროს წინაპართა გადმოცემების ჩამწერი არავინ იყო და მამა-პაპათა გმირული ამბები თანდათან დავიწყებას ეძლეოდა. სწორედ ამავე მიზეზით მიწის ქვეშ მოექცა მესხური მუსიკა და ხელოვნების



სხვა შედევრებიც. დიდი ქართველი მგოსნის და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დიადი შემოქმედებიდან ჟამთა სიავეს გადაურჩა მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“. მრავალი ფასეულობა და განძი, ბევრი ნაწარმოები თუ შემოქმედება, მხატვრობა და ხუროთმოძღვრება, ტაძრები და მონასტრები, ციხენი და სიმაგრენი, დაბები და სოფლები, ქალაქები და ციხე-ქალაქები, კულტურა და ხელოვნება მტრების მსახვრული ხელით მრავალჯერ გაძარცული, დანგრეული და აღგვილი იქნა პირისაგან მიწისა. დარჩა მხოლოდ ნაცარი და ქვათა ღაღადი. ეს ნაქალაქარები და ნასოფლარები, მათი ტაძრებისა და ციხეთა ქონგურები, რომლებიც ჯართა სიავის უტყვი მოწმენი არიან დღესაც ქურუმებივით სდგანან და შთაგვაგონებენ სამშობლოს გმირული წარსულის და დიდებული ისტორიის სიდიადეს.

რაღა გასაკვირია თუ ჩვენამდე ვეღარ მოაღწია დიდი მგოსნის შოთა რუსთაველის მწიგნობრივმა ბიოგრაფიამ, მაგრამ ჩვენი ხალხის გულში დარჩა ზეპირსიტყვიერებანი, რომელსაც ჩვენი წინაპრები მოწიწებით ინახავდნენ თავიანთი შვილებისათვის.

დაბადების ამბავი

ის დალოცვილი და სულმნათი შოთა რუსთაველი დაიბადა მესხეთის დაბა რუსთავში (იმ დროს პატარა სოფელს დაბას ეძახდნენ). ეს იყო მე-12 საუკუნის 60-იანი წლები, მეფე თამარისა და მისი შვილის ლაშა-გიორგის დროს და იცოცხლა თითქმის ერთი საუკუნე.

როდესაც შოთას დაბადება შეიტყო მამამ ივანემ, რომელიც იმ დროს ჩახრახის მთის კალთებზე იმყოფებოდა თავის სამწყესურში, იგი მაშინათვე შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე და სიხარულით გაეშურა რუსთავში.

მამას წინდაწინ გადაწყვეტილი ჰქონდა თუ რა სახელი უნდა დაერქმია შვილისთვის და ამიტომ, მოსვლისთანავე, კარების ზღურბლიდან შესძახა: „შოთას გაუმარჯოს!“

მეორე ღამეს შოთას მამამ ივანემ, შვილის შეძენის გამო შეობა (ქეიფობა) გადაიხადა, სადაც მოწვეული იყვნენ მახლობლები და მეზობლები. სწორედ იმ ღამეს შოთას მამის მტრებმა საწამლავი შეაპარეს ღვინით და იმავე ღამეს გარდაიცვალა მგოსნის მამა.

მამით დაობლდა შოთა, მაგრამ იგი იზრდებოდა დედის კალთაში. შოთას ყავდა უფროსი და-ძმა და ბიძა იესა (იგივე ბესა) მამის ძმა.

ოჯახური მდგომარეობა და მშობლები

შოთას მამის ოჯახი ითვლებოდა შეძლებულად, ქონდათ მამული, ბაღი და ბაღჩა, ყავდათ მრავალი ცხვარი და ძროხა. მამა ივანე, როგორც ქკვიანი და კეთილი ადამიანი დიდი სახელითა და პატივით სარგებლობდა საქართველოს სამეფო კარზე. ძმები ივანე და იესა დაბა რუსთავში ცხოვრობდნენ, მაგრამ მისდევდნენ მომთაბარეობას. მათი ცხვარი, ძროხა, ხარი, ცხენი და სხვა პირუტყვი გაზაფხულიდან შემოდგომამდე საძოვრად იმყოფებოდა ჩახრახის მთის კალთებზე.

შოთას დედას სახელად ერქვა ია, რომელიც განთქმული იყო თავისი კეთილშობილური ადამიანობით. იამ ძალიან იდარდა ქმრის უდროოდ დაკარგვა, მაგრამ შვილების ხათრის გულისთვის იგი არ იმჩნევდა დიდ მწუხარებას და მშობლიურ ზრუნვას არ აკლებდა დაობლებულ შვილებს, მაგრამ საყვარელი მეუღლის ტრაგედიამ დაასნეულა და იგიც მალე გარდაიცვალა. უფროს დასა და ძმას არ შეეძლოთ პატარა შოთას აღზრდა, რადგანაც მშობლიურ მზრუნველობას თვითონაც საჭიროებდნენ. იასეს ძალიან უყვარდა პატარა შოთა, იგი მასში ხედავდა რაღაც განსაკუთრებულს და იკისრა მისი აღზრდა.

„ვეფხისტყაოსნის“ განხილვა თამარის საკრებულოში

როდესაც მეფე თამარმა შეიტყო, რომ შოთა რუსთაველმა დაამთავრა „ვეფხის ტყაოსნის“ დაწერა, სთხოვა მას, რათა იგი წაეკითხა მეფის საკრებულოში.

შოთამ თანხმობა მოახსენა და ერთ მშვენიერ დღეს, ვარძიის კლდის ციხე-ქალაქში, თამარის სამეფო ტახტის საათბირო განყოფილებაში შოთას მიერ მთლიანად წაკითხული იქნა „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტი. პოემის კითხვა-განხილვა მიმდინარეობდა ვიწრო წრეში (განხილვა მიმდინარეობდა ორი დღე და ორი ღამე).

როდესაც შოთა რუსთაველმა დაამთავრა თავისი პოემის კითხვა, მაშინ მოხიბლული თამარი წამოდგა ზეზე, შოთა იხმო თავისთან ახლოს და მადლობის ნიშნად შუბლზე ეამბორა, გაიძრო მარჯვენა ხელის შუა თითიდან თავისი ოქროს ბეჭედი და შოთას გაუკეთა მარჯვენა ხელის ნეკზე, აიღო თავისი ოქროს კალამი და შოთას მაღალ ქუდზე თავისი ხელით დაუმაგრა ბრილიანტის სამაგრით. არც იქ დამსწრე დიდებულები დარჩნენ ვალში, მათაც დიდი თაყვანისცემით შოთას მიართვეს ძვირფასი იაგუნდი ჩასმული ოქროს საწერკალამი.

სათნოებით აღვსილმა შოთა რუსთაველმა დიდი მადლობა გადაუხადა თამარ მეფეს და იქ დამსწრე დიდებულებს და აღუთქვა მეფეს, რომ იგი მომავალშიც ერთგულად ემსახურება სამშობლოს აყვავებასა და მის ბედნიერების მამულიშვილურ საქმეს. სწორედ ამ დროს კვლავ წამოდგა ფრთებშესხმული თამარი და შოთას მოახსენა სასოებით და სათნოებით სავსე სიტყვები: „დიდო შოთავ, ვადიდებ შენს ნიჭს, მადლობას გიძღვნი, რომ გაამართლე ჩემი ნდობა და დავალება. მხოლოდ შენ დაიმსახურე მეფის კალამი და ატარე იგი ნიშნად დიდი ღირსებისაო“.

შოთამ თავის მხრივ კვლავ მადლობა მოახსენა დიდებულ თამარს, რომელსაც ხელზე ეამბორა და გადასცა „ვეფხის ტყაოსანის“ სრული ტექსტი.

შოთას მხრივ ეს იყო სიყვარულის წერილი თამარისადმი, სადაც ნაწილობრივ ჩააქსოვა თავისი პირადი ცხოვრების ამბები.

შოთას მოტრფიალე ქალები

სახელგანთქმულსა და მშვენიერ ვაჟკაცს ეტრფოდნენ ქართველი დიდებულები და დიდგვაროვანთა მრავალი ლამაზმანი. მათ შორის ყველაზე ძლიერი სიყვარული სწვავდა კოდიანის ბატონის დედისერთა მზეთუნახავს. ბატონს თავისი მზეთუნახავი გოგონა ჩაკეტილი ჰყავდა ციხე-კოშკში, სადაც ერთ-ერთი მცირე სარკმლიდან მზის სხივიც ვერ აღწევდა. ქალი მაინც ახერხებდა თავის ხმა მიეწვდინა სატრფომდე, მაგრამ შოთას არ ქონდა საშუალება ენახა კოდიანის ბატონის მზეთუნახავი. კოდიან ბატონის გოგონას მწველი სიყვარულის ცეცხლი მოეკიდა და დაიფერფლა ამ ცეცხლში.

შოთასადმი მწველი სიყვარული განიცადეს აგრეთვე ორმოცების და ხერთვისის ბატონის ლამაზმა ასულებმაც, რომლებმაც კოდიანის ბატონის ქალიშვილის ბედი გაიზიარეს.

შოთასადმი სიყვარულში არც გლეხების ლამაზმანები ჩამოუვარდებოდნენ სხვებს.

ღობიეთელი გლეხის ლამაზი გოგონა ძლიერი სიყვარულით ეტრფოდა და განიცადა შორით ბნედვა. გოგონა ბუნების მიერ უხვად იყო დაჯილდოებული გონიერებით და სილამაზით. შოთა მას იცნობდა და უთანაგრძნობდა, სწორედ იმ დღეს, როდესაც შოთა რუსთაველი მიემგზავრებოდა საბერძნეთში სასწავლებლად, მაშინ გოგონას მონაწილეობა მიუღია მის გაცილებაში. გოგონამ გზა დაულოცა შოთას და ნიშნად ხსოვნისა, საჩუქრად გადასცა თავისი ხელით საგანგებოდ მოქარგული ცხვირსახოცი, რის გამოც ბოდიში მოუხადა მცირედისათვის, ხოლო შოთამ, თავის მხრივ, მადლობა უთხრა გოგონას და სამახსოვროდ გადასცა ჯიბის პატარა დანა.

შუა აზიაში გადახვეწის მიზეზი

თამარის კარზე შოთას მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო, იგი აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში, დაუცხომრალად ზრუნავდა სამშობლოს კულტურის აღორძინების საქმეშიც, მისგან რჩევას იღებდნენ არამარტო ვეზირნი და ნაზირნი, არამედ თვით თამარიც.

შოთა იყო უდიდესი პატრიოტი საქართველოსი, იგი ხალისით მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ სფეროში, დაუცხრომლად ეწეოდა დიდ ლიტერატურულ მოღვაწეობას და გმირულ სულს შთააგონებდა ქართველ ხალხს.

მეფე თამარის სიყვარული შოთასადმი იყო ორმხრივი, ასე მაგალითად, თამარს შოთა უყვარდა როგორც ბრძენი და ფილოსოფოსი, როგორც უდიდესი მოაზროვნე და უბადლო მგოსანი, როგორც დიდი ჰუმანისტი და განმანათლებელი სამშობლოსი, როგორც ნიჭიერი მოღვაწე და მფარველი საქართველოსი.

თამარს შოთა უყვარდა როგორც მეგობარი და ამხანაგი, თამარს შოთა უყვარდა საქმროდაც და ეს სიყვარული იყო ყველაზე მაღალი, რომელსაც რაინდული სიყვარული ეწოდება. თუმცა თამარის სიყვარული შოთასადმი და შოთას სიყვარული თამარისადმი ვერცერთი ვერ ასცდებოდა ეჭვიანობის შხამსა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც შოთა უცოლო იყო, თამარმა თავისი მოციქული გაუგზავნა შოთას, რათა საიდუმლო შეეტყო თუ რას იქმოდა თავის სახლში. მოციქული ღამით შევიდა დაბა რუსთავში, მივიდა მის სახლთან, მალულად შეიხედა სარკმელიდან და დაინახა, რომ შოთა გადახვეოდა ლამაზ ასულს და სანთლის შუქზე რაღაცას ესაუბრებოდა მას.

მოციქულმა რა იცოდა თუ, ეს ლამაზი ასული შოთას და იყო, რომელსაც წერას და კითხვას ასწავლიდა მგოსანი.

მოციქულმა თვალით ნახული მოახსენა თამარს, რის შედეგადაც თამარის გულში ეჭვის სენმა დაისადგურა, რომელმაც მის წმინდა სიყვარულში ბზარი წარმოშვა.

შოთას შეუმჩნეველი არ დარჩენია თამარის შეკრული შუბლის კოპები, იგი მიუხვდა თამარის ეჭვებს და შორს მჭვრეტელი მგოსანი იძულებული გახდა დროებით გადახვეწილიყო შუა აზიაში დარდების განსაქარვებლად.

შოთა რუსთაველი იქაც განაგრძობდა პოეტურ მოღვაწეობას და, როგორც ჩვენი წინაპრები გადმოგვცემდნენ, შოთას იქ დაუწერია „ვეფხის ტყაოსანის“ გაგრძელება, მაგრამ მის ნაწარმოებს, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

შოთა რუსთაველი დიდხანს აღარ დარჩა შუა აზიაში, იგი მალე დაბრუნდა თავის საყვარელ სამშობლოში, მაგრამ თამარი აღარ იყო ცოცხალი. შოთა გაემგზავრა გელათში და იქ დაიტირა დიდებული თამარის ნეშთი.

იერუსალიმში გადახვეწის მიზეზი

დიდი მგოსნის – შოთა რუსთაველის ოჯახური ბედნიერება არ იყო ბრწყინვალე. შოთას მეუღლეს ნინოს ძლიერ უყვარდა თავისი ქმარი და რამდენადაც დიდი იყო ეს სიყვარული, იმდენადვე სურვილი ჰქონდა შოთა სულ მასთან ახლოს ყოფილიყო, მაგრამ რუსთაველის მოღვაწეობის მდგომარეობა საამისო პირობებს არ ქმნიდა. ხშირად იტანჯებოდა ქალი შოთას სიშორით და მისი ლოდინით. უდიდესი ადამიანური კეთილშობილებით ითმენდა ახალგაზრდა ქალი სამეფო ჯარის ჭორებს.

ერთ-ერთი ბატონის მსახურმა – არაბმა შეიყვარა ნინო და პაემანი დაუნიშნა მტკვრის სანაპიროზე. ეს ამბავი როგორღაც შეიტყო შოთამ და იგი განრისხებული შეჯდა თავის არაბულ ცხენზე და ცხენდაცხენ მახვილმომარჯვებული თავზე დაადგა შეყვარებულებს. ამ შემთხვევის დროს ქალი იყო შემოსილი კაცის ტანსაცმლით, მაგრამ შოთამ მაინც იცნო თავისი მეუღლე და იქვე განგმირა იგი.

დიდი მგოსანი იტანჯებოდა ოჯახური ტრაგედიის დავიდარაბით და მაშინ წარმოსთქვა თავისი აფორიზმი:

„საწუთრო კაცსა ყველასა, ვითა ტაროსი
უხდების,
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით
მოუქუხდების“.

ამიტომ,

„სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა
მეცნიერსა,
რა მისჭირდეს მაშინ უნდა, გონებანი გონიერსა“.

შოთა რუსთაველმა უარყო მოღალატე მეუღლე, იგი მე არ მყოლიაო და გადაწყვიტა მიეღო იძულებითი გადახვეწა იერუსალიმში, სადაც ქართველი მოღვაწეები იყრიდნენ თავს ჯვრის მონასტერში, ქართველთა საქრისტიანო რეზიდენციაში.

იერუსალიმის ჯვარის მონასტერში შოთა რუსთაველი წასულა შიშველი ფეხებით და ბერად შემდგარა. დაუცხრომელი ენერგიის მგოსანი იქაც განაგრძობდა ჰუმანიტარულ მოღვაწეობას.

როგორი იყო ვარძია ათაბაგის და შოთას მოღვაწეობის დროს

დავით აღმაშენებელმა დაიწყო ვარძიის კლდის ქალაქის მშენებლობა საგანგებოდ შერჩეულ კლდეში.

მშენებლობა მიმდინარეობდა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, რომელიც შენდებოდა და იკვეთებოდა სათანადო გეგმის მიხედვით.

ვარძიის კლდის ქალაქს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის და ამიტომ იგი წარმოადგენდა მეფეთა და მხედართმთავართა რეზიდენციას, სადაც ეტეოდა ათიათას კაცზე მეტი.

ვარძიაში ხშირად მოღვაწეობა უხდებოდა შოთა რუსთაველს, მეფე თამარს, სარგის თმოგველს (მხედართმთავარი) და სხვებს.

ვარძია გამოკვეთილი იყო მთლიანად კლდეში შვიდ მთავარ სართულად, სადაც შვიდასზე მეტი ოთახი (განყოფილება) იყო მოთავსებული.

დაბლა სართულზე განლაგებული იყო საჯინიბოები, საწყობები, მარნები, საწნახელი და სხვა. დამხმარე სათავსოებით. მაღალ სართულზე განლაგებული იყო ჯარების სადგომები, შუა სართულებზე გამოკვეთილია ეკლესია და აფთიაქი, საკრებულო დარბაზი და მეფის სამოღვაწეო ოთახები.

ვარძიაში მისასვლელი გზები და ბილიკები სურნელოვანი ვარდებითა და ყვავილებით იყო მოფენილი „საკარმიდამო“ მოედნებზე დათესილი იყო სამკურნალო მცენარეები, ხოლო ვარძიის შემოგარენი მთლიანად დაფარული იყო წალკოტებით.

ვარძიის ფასადი მთლიანად მოჩუქურთმებული იყო ქართული ორნამენტებით, ხოლო კარები და ფანჯრების კარნიზები მოვარაყებული იყო ვერცხლისა და ოქროს ფერებით, რომელიც მზის სხივებზე ზღაპრულად ელვარებდნენ.

ქვის კიბეებზე დაფენილი იყო ფარდაგები, ხოლო ოთახების კედლები და იატაკები მოფარდაგებული იყო ძვირფასი ხალიჩებით. სამეფო და სავეზირო განყოფილებები მორთული იყო უფრო ძვირფასი ქსოვილებით და ძოწეულით.

ვარძიის მთავარი კარები იყო ოქროსი, რომლის სისქე უდრიდა ერთ ციდას და იწონიდა 900 კ/გრამს. ვარძიის აფთიაქი ცნობილი ყოფილა ძვირფასი წამლეულობით მთელს მსოფლიოში, ასევე სახელგანთქმული იყო ვარძიის მარანი და ღვინო.

არანაკლები სახელი ჰქონდათ ვარძიის წყლებს, რომელსაც ამჟამადაც უკვდავების წყალს ეძახიან. ვარძიის შიგნით კლდის აუზში არსებული წყალი მეტად ძვირფასია სასმელად, რომელსაც წყალი არ ემატება და არც აკლდება, რაც უნდა ბევრი ვხარჯოთ იგი.

ვარძიას ქონდა სხვა საინჟინრო წყალსადენებიც და საიდუმლო გვირაბები მდინარე მტკვართან, თმოგვის ციხე-ქალაქთან და ვანის ქვაბებთან.

შოთას ნეშთის ჩამოსვენება ვარძიაში

შოთა რუსთაველის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ანდერძის შინაარსი ზარზმაში შეიტყო შოთას შვილმა, რომელმაც არ დააყოვნა და თავისი ძმადნაფიცი ვაჟკაცებით წავიდნენ იერუსალიმში ფეხშიშველი, საიდანაც მამის ძვლები გადმოასვენეს ვარძიაში, სადაც ქართველ ხალხს ძვირფასი ნეშთი დიდი პატივით მიუბარებიათ მიწისთვის.

თუმცა ჩვენი ზოგიერთი წინაპრები შოთას საფლავის შესახებ მიუთითებდნენ სოფელ რუსთავის ყორღანზე, რომელიც დღესაც არსებობს შოთას მამისეულ ყანებში.

ეს ყორღანი, თურმე, იმიტომ არის მოცულობით გრანდიოზული, რომ შოთას ნეშთის გასვენებაში დიდძალ ხალხს მიუღია მონაწილეობა.

გარდა ამისა, ზოგნი შოთას საფლავს ასახელებენ ვანის ქვაბების, წუნდისა და ღობიეთის მონასტრებს.

შოთა რუსთაველი მშვილდოსანი

მესხეთ-ჯავახეთის ბუნება მდიდარი იყო თავისი ფლორით და ფაუნით. ნადირობა უყვარდა

ᲣᲘᲛᲬᲘᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

შოთას და იგი ხშირად დადიოდა სანადიროდ თავისი შვილდისრით, მწევარით და მიმინოთი. მისი სანადირო ასპარეზი იყო ვარძიის მიდამოები და ოთის ტყე.

ვინ იცის რამდენი ლექსი დაუწერია შოთას ოთის ტყის ცივ წყაროზე, სადაც დასასვენებლად მოდიოდა ხოლმე. ამ წყაროს დღესაც „შოთას წყაროს“ ეძახიან.

ვინც ოთის ტყის წყაროს მიდამოებს ნახავს, ის მაშინვე წარმოიდგენს „ვეფხის ტყაოსნის“ პეიზაჟებს და უნებლიედ იტყვის – „აი, თურმე, სად დაუწერია შოთას „ვეფხის ტყაოსანიო.“

შოთა რუსთაველი განთქმული იყო როგორც საუკეთესო შვილდოსანი და იგი ნადირობიდან ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულა.

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ

შოთა სიცოცხლეშივე მესხელმა ხალხმა ზეპირად იცოდა რუსთაველის აფორიზმები, რომლებიც სიმღერებად გაისმოდა ყველას ოჯახში.

რუსთაველის აფორიზმებს ცხოვრებისეულად იყენებდნენ ჭირსა და ლხინში.

როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც, ბევრმა მესხელმა და ჯავახელმა ზეპირად იცოდა „ვეფხის ტყაოსნის“ მთელი ტექსტი – და იგი იმდენად მახლობელი და გასაგები იყო მათთვის, რომ მას ზოგიერთი მათგანი ერთი წაკითხვით სწავლობდა ზეპირად.

მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობაში წესად იყო „ვეფხის ტყაოსნის“ და მისი ავტორის ამბების მოყოლა ზღაპრის მსგავსად.

„ვეფხის ტყაოსნის“ შინაარსის პარალელურად ყვებოდნენ თამარის და შოთას სიყვარულის ეპიზოდებს, რომელიც ინახებოდა ავთანდილისა და თინათინის სიყვარულის ფონზე.

„ვეფხის ტყაოსნის“ მთლიანი ტექსტი ერთი წაკითხვით ისწავლა სოფელ ჭობარეთში მცხოვრებმა აჩილ ჯვარიძემ, რომლისთვისაც პოემის ყველა სიტყვა გასაგები იყო. ამჟამადაც დიდი ხალისით უყვება ხალხს შოთას ქმნილების შინაარსს. მანვე ზეპირად იცის ხალხური „ვეფხის ტყაოსანი“, იგი ცოცხალი მეტატიანეა „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტისა.

„ვეფხის ტყაოსანი“ დაწერილია მესხური მოტივებით და დიალექტით, ამიტომ არის, რომ იგი ერთი წაკითხვითაც გასაგები და მახლობელია ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისთვის.

გარდა ამისა, ჩვენმა წინაპრებმა ზეპირად იცოდნენ როგორც შოთას ვინაობა, ისე მისი პორტრეტიც.

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

როგორც ჩვენი წინაპრები გადმოგვცემდნენ, ძველად „ვეფხის ტყაოსანი“ არსებობდა ხელნაწერების სახით, რომელიც მეტად იშვიათ საგანძურს წარმოადგენდა. ასეთი ხელნაწერები შეიძლება მონახულიყო დიდგვაროვანი, შეძლებული ოჯახების სამზითვოს კიდობანში.

ხელნაწერის პატრონი უდიდესი საიდუმლოებით ინახავდა „ვეფხვის ტყაოსანს“, რომელსაც ხელში არავის არ ჩაუგდებდა. ამგვარი ვითარებით ხელნაწერები უკვალოდ იკარგებოდა მისი პატრონის მარადისობის შემდეგ.

„ვეფხის ტყაოსნის“ ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი უნახავთ მესხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც ერთ-ერთი წიგნის ყდაზე ყოფილა მიწებებული ამავე ყდის გასამაგრებლად.

*მთქმელი **სერგო ბერიძე**, 47 წლის, ქ. ახალციხე. ჩანერილია 1964 წელს. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ე N 5367 (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ.).*

ᲗᲐᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲕᲐᲠᲫᲘᲘᲡ ᲐᲚᲧᲐᲨᲘ

როდესაც თამარი დადიოდა თავის სამეფოს სხვადასხვა კუთხეში შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, დარუბანდიდან ტრაპიზონამდე ან მოდიოდა ჯარების დასალაშქრავად შოთას არ იშორებდა თავის გვერდიდან და იგიც ხალისით ედგა მხარში. თამარისა და შოთას ეპოქაში ქართველთა მოსახლეობა 12 მილიონ კაცს შეადგენდა I სამთავროსაგან.

ნახ. ირაკლი თოიძისა

დაოჯახების შემდეგ თამარი შოთას არ იშორებდა თავის სასახლიდანაც. შოთა მეფის მრჩეველი იყო და სამეფო კარზე წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ ფიგურას.

როდესაც თამარსა და შოთას ვარძიაში უხდებოდათ მოღვაწეობა, ერთ ავდრიან დღეს, მოულოდნელად, თავს დაესხნენ თურქთა ურიცხვი ჯარები ელვერ-ფაშას მეთაურობით. თამარის ნიჭი და სილამაზე მისთვის ცნობილი ყოფილა და მიზნათ დაუსახავს თამარის მოტაცება და ვარძიის მდიდარი განძეულის ხელში ჩაგდება. ელვერ-ფაშამ თავისი ურიცხვი მხედრიონით ალყა შემოარტყა ვარძიას ოთხივე მხრიდან. მეფე თამარი თავისი მცირე ჯარით გამაგრდა ვარძიის ციხე-ქალაქში, რომელიც მომხვდური მტრისთვის მიუვალი აღმოჩნდა. ელვერ-ფაშამ გადაწყვიტა ვარძიის ხანგრძლივი ალყის ტაქტიკა, რათა შიმშილი გამოეწვია თამარის ბანაკში. ასეთ ვერაგულ ხერხს მალე მიუხვდა შოთა რუსთაველი და თამარს ურჩია, რათა ყველა სარკმელიდან თურქეთის ჯარისათვის გადაეყარათ დიდძალი ორცხობილა და თან შეატყობინეს, რომ ორ წელიწადზე მეტ ხანს ეყოფოდათ. მოქმედების გამო ელვერ-ფაშას განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა და გაოგნებულმა ფაშამ ბრძანა: „ნეტავ ვიცოდე, ვინ არის ქალი ასეთი მამაცი და ბრძენი, რომელიც საქართველოს ხელმწიფობს, ვინც თამარს ცოცხლად მომგვრის, თავის წონა ოქროს საჩუქრად მივცემო. მეორე ალყის დროს ელვერ-ფაშამ მოინდომა ვარძიელებისთვის მოესპო სასმელი წყლის საშუალება, ამიტომ მდინარე მტკვრის გასწვრივ ყოველ ნაბიჯზე დააყენა თავისი ყარაულები. ამ ვერაგულ განზრახვას მალე მიუხვდა რუსთაველი და თამარს უთხრა, რათა ყველა სარკმელიდან თათრებისთვის გადაეყარათ ცოცხალი თევზები. მართლაც გადაუყარეს ცოცხალი თევზები, რომლებმაც მტრის ბანაკში იწყეს ფართხალი. ამ სურათის გამო თათრები თავიათ სარდალთან ერთად განცვიფრებული დარჩნენ – ელვერ-ფაშამ შუბლზე მომდგარი ოფლი შეიმშრალა და თავის ჯარს უბრძანა: „რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, თავი უნდა გავსწიროთ და ძალით შევანგრიოთ ვარძიის კლდის ქალაქის კარები და სარკმელები ხელთ ვიგდოთ, რათა სიმდიდრე და თან წავიყვანოთ მზეთუნახავი ხელმწიფეო, ამიტომ მოამზადეთ საბლები და მთიდან ერთდოულად დაიწყეთ ჩასვლა, ძალით დალეწეთ ყველა სარკმელი და შეანგრიეთ ყველა კარები, – ჯილდოთ მიბოძებია ვარძიის მთელი განძეულიო“.

შოთა რუსთაველი სწრაფად მიუხვდა ვერაგი მტრის ბოროტ განზრახვას და თამარს ურჩია შემდეგი:

„დიდებულო ბრძენო ხელმწიფევ, ახლა კი დროა თავი დავიცვათ მამაცურად და მტერს ჩალა გამოვავლოთ პირში, ამიტომ საჭიროა საჩქაროდ გახიზნოს ჯარი საიდუმლო გვირაბით თმოგვის ციხე-ქალაქში და გადამალონ ვარძიის ძვირფასეულობა“.

მართლაც მეფე თამარი თავისი ამალით მალე გაჩნდნენ თმოგვის ციხე-ქალაქში, გადახერგეს საიდუმლო გვირაბი და საგულდაგულოდ შენიღბეს იგი.

ელვერ-ფაშას ჯარებმა დაიპყრეს ცარიელი ვარძია და რასაც ელოდნენ, ის აღარ დახვდათ; – ასე რომ, აფთიაქის განყოფილებაში წამლებიც კი ვერ ნახეს.

ფაშას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა იმის გამო, რომ მათ საიდუმლო გასასვლელი ვერ აღმოაჩინეს. გაბოროტებულმა თურქებმა დაიწყეს ვარძიის ბარბაროსული ნგრევა და, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ ხოლმე, თურმე, სწორედ მაშინ მოახერხეს ვარძიის ოქროს კარების შეხსნა, რომელსაც ერთი ციდა სისქე ჰქონდა და ცხრა კაცის წონა. ვარძიის ოქროს კარები წაიღეს თურქეთში, რომლის ფასიც მათ ერთ ქვეყნად უღირდათ.

ქ.თმოგვის ციხეში თამარის ამალას ხერთვისელებმა დაახვედრეს შეკაზმული ცხენები და აქედან გაემგზავრნენ ქ.მცხეთაში.

თამარი ვერ ითმენდა ელვერ-ფაშას შეურაცხყოფას და თავის ჯარს უბრძანა: „იმედს ნუ გაიტეხთ, ვაჟკაცნო, კვლავაც ვიხილავთ ვარძიის კერასაო“.

ამ დროს შოთამ შემდეგი რჩევა მისცა თამარს: სასწრაფოდ შეეკრიბა დამატებითი ჯარები და სამაგიერო მიეზღო მტრისთვის. მართლაც ბრძენი თამარი შეუდგა ჯარების სასწრაფო შეკრებას.

ამასობაში თურქეთის მთავარსარდალმა ელვერ-ფაშამ შეიტყო თამარის განზრახვა და შიკრიკის პირით შეუთვალა: „არ მსურს საქართველოს დაპყრობა, ჩემი სურვილია საქართველოს მამაცი ხელმწიფის სიყვარულიო“.

თამარს და შოთას, რა თქმა უნდა, სასაცილოდ არ ეყოთ ეს ამბავი და, შოთას რჩევით, თამარმა ელვერ-ფაშას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „თუ ასე მამაცი ვაჟკაცი ყოფილხარ, მაშინ ჩვენ პირისპირ შევხვდეთ თავების გორის მოედანზე, იქ მოვაწყოთ ჯირითი და მაშინ დამიმტკიცე შენი ვაჟკაცობა და სიყვარულიო“.

ასეთი პასუხით ელვერ-ფაშას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დათქვეს დრო და ადგილი. კვლავ, შოთას რჩევით, თამარმა დანიშნულ ადგილზე გააჭრევინა ღრმა თხრილები, რომლებიც საგანგებოდ შენიღბეს.

სწორედ იმ ღამეს თამარი ითენებს აღდგომის დილას და თავის ჯარს ასე აფრთხილებს:

— „ცოტა დალიეთ ვაჟკაცნო,
ძალას ნუ ატანთ თავსაო,
აღდგომის დილა თენდება,
მტერს უნდა შევხვდეთ ავსაო“.

თურქი მზვერავი შიკრიკი ატყობინებს ელვერ-ფაშას, რომ ქართველთა ჯარი დამთვრალან „ქალა თაფას“ ველზე და დროა დავესხათ თავსაო. ელვერ-ფაშა შეჯდა თავის ყორანზე და წინ წარუძღვა ცხენოსან მხედრიონს, თათრები სულ ჭენებით შეიჭრნენ თავების გორის მოედანზე. ქართველები საფარში იყვნენ და ელოდნენ მტრის გამოჩენას.

თურქთა ჯარის უმეტესობა ცხენდაცხენ გადაიჩეხნენ თხრილებში. შეიქმნა სისხლის მღვრელი და ფიცხელი ხელჩართული ბრძოლა. თურქთა მცირე ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო დიდი ნაწილი ქართველებმა ტყვედ წამოიყვანეს. თავგატეხილი ელვერ-ფაშა ცოცხალი იპოვეს თხრილში თავისი ფეხმოტეხილი ცხენით და მიჰგვარეს მეფე თამარს.

ელვერ-ფაშამ მუხლები მოიყარა და სასოებით თაყვანი სცა გამარჯვებულ მეფე ქალს. მუხლმოყრილი ფაშა საცოდავად იხვეწებოდა, თამარს ასე შესთხოვდა პატიებას:

„ჩემი სიცოცხლე აჩუქე
იმ ჩემს თორმეტსა ცოლსაო,
მზე დამიბნელა თამარმა,
ვეღარ გადვიხდი ომსაო“.

თამარმა უთხრა:
შეურაცხყოფა ქალების
კისერზე გადევს ვალადო,
შენ დაიხურე ლეჩაქი,
იარე მუდამ ქალადო“.

ამ სიტყვების შემდეგ თამარმა ელვერ-ფაშას თავზე შემოაჭვიეს ლეჩაქი, მაშინათვე გაანთავისუფლა იგი და გაშორდა.

ასე სამარცხვინოთ დაამთავრა ელვერ-ფაშას მხედრიონის ვარძიის სამი ალყა იმ დალოცვილი შოთასი და თამარის ნიჭიერებისა და სიბრძნის მეოხებით.

ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ე N 5367 (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ.).

***

ჩვენ გვწერენ, სოფელ ახმეტაში თ.ნ. მაყაშვილსა აქვს იშვიათი პირი „ვეფხის-ტყაოსნისა“-ო.

პოემა დიდ ფართო ფურცლებზედ არის გადაწერილი და კარგი ყდა ჰქონია, ეხლა კი დასძველებია და თვით ფურცლები დაშლილაო.

ქაღალდი სხვილია, ეტრატის მგზავსი. პოემა გადაწერილია სხვილის ასოებით და მშვენიერის ხელით. ნაპირები ფურცლებისა მორთულია ვარაყის არშიებითა და ეს არშიები შემდგარია მცენარეთა, ფრინველთა და ნადირთა სურათებისაგანაო. პოემა გადაწერილია, როგორც სჩანს, მიწერილობიდამ, მეფე ვახტანგ V-ის, ანუ შაჰ-ნავაზ გიორგის ძის მეფობის მესამე წელსა (1661-1664 წ.).

დასაწყისში წანაწერი ყდის ფურცელზედ მოგვითხრობს, რომ მეფე ირაკლი II-საგან რუსეთში გაგზავნილი ყოფილა სახლთ-ხუცესი თავადი ჩოლოყაშვილი და ეს წიგნი იმას შეუძენია მოსკოვში 1781 წელსაო.

მინაწერები პოემისა მე ვერ მოვასწარ და ვერ გადავსწერე. პატრონი ხელნაწერს არავის არ ანდობს. თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლება მსურველმა ამ ხელ-ნაწერის გამო მიჰმართოს ახმეტის მემამულეს თ.ნიკოლოზ ათანასეს ძეს

მაყაშვილს. ამავე მემამულეს ჰქონია სხვა ხელთ-ნაწერი ქართული წიგნებიცა: ტროადის დარღვევა (ილიადა), არჩილიანი, სირინზიანი, ფუთკარი, ხრონოლრაფია, ძველი თარგმანი შარდენის მოგზაურობისა, ასტროლოღია და ცხოვრება ნუმა-პონპელისა, თარგმანი ავალიშვილისა პეტერბურღში დიდი ხელმწიფა ეკატერინა II-ს დროსა.

ეს ორი უკანასკნელი წიგნი პატრონმა გადასდვა საჩუქრად „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავისათვისაო.

გაზეთი „ივერია“, 1886 წ. N192

გაზეთის სპეციალური ნომერი გამოდის ასპინძის მერიის შეკვეთით.

***

შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის სახკომისარიატი უშვებს საფოსტო მარკებს. საუკეთესო საფოსტო მარკებზე გამოცხადებულ კონკურსში პირველი ჯილდო მიიღო მხატვარმა სევ. მაისაშვილმა.

სურათზე: კონკურსში დაჯილდოებული მარკის ესკიზი.

გაზეთი „კომუნისტი“, 1936 წ. N4

,,ვეფხის-ტყაოსანი'' სიმღერად

ყოველწლიურად ჩვენში, დღესასწაულებზე და ქორწილებში, დიდი ლხინი იმართებოდა, სადაც სიმღერა ხშირად თათრულად იყო. ქეიფის დროს შოთას ლექსებს დავამღერებდით და გაიმართებოდა შეჯიბრება. ხშირად ჩემი მოწინააღმდეგისთვის სიმღერით მითქვამს:

ქართული ენით მალექსე,
რუსთაველის წინ ვინ არის,
არვის უთქვამს მისი ცუდი,
მისი ტოლი არვინ არის,
თორმეტი საუკუნეთში
რუსთაველის აზრი წინ არის,
მისი ნაწერი ლექსები
დღესაც კი აქამდის არის.

ამის შემდეგ ვამბობდი, როცა ნათქვამი მქონდა:

დასრულდა ესე ამბავი,
ვით სიზმარია ღამისა,
გარდახდეს გარდასახადი,
ნახეთ სიმუხთლე ჟამისა...

განმეორებით მოწინააღმდეგე გუნდს ბოლოს კიდევ ვეტყოდი:

ზოგიერთი ცრუ მოშაირე,
პოეტს ძველს დაიწუნებს,
უცხო, გარეგანი უყვარს,
თავის ქართულს დაიწუნებს,
ორიოდე ლექსი იცის
უკვდავ რუსთველს დაიწუნებს.

ამით თავდება შეჯიბრება გუნდებს შორის. ჩვენი გუნდი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

მთქმელი დ.ყავრელიშვილი.
ახალქალაქის რაიონის სოფ. კოთელია.
ჩაიწერა მიხეილ ჩიქოვანმა

ქალაქი ვარძია აღდგენილი იქნება

მდინარე მტკვრის ხეობაში ბევრია მატერიალური კულტურის ძეგლები ხელოვნური გამოქვაბულების სახით. მათ შორის ცენტრალური ადგილი უნდა მიეკუთვნოს ვარძიის „კლდის ქალაქს“ ხერთვისის ხეობაში (ასპინძის რაიონი). ეს ძეგლი, მართალია, ისე ძველი



ალ. როინიშვილის ფოტო. 1898 წ.

არ არის, როგორც უფლისციხის გამოქვაბულები (გორის მახლობლად), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვარძიის „კლდის ქალაქს“, როგორც შენობათა რაოდენობით, ისე განსაკუთრებით თავისი არქიტექტურით და საუცხოო გეგმით, ყველაზე შესანიშნავია.

ვარძიის აგება დაიწყო თამარ მეფის მამამ გიორგი მესამემ, რომელმაც თამარს დაუტოვა ანდერძი – დაემთავრებინა ეს საქმე, რაც შესრულებული იქნა მე-12 საუკუნეში.

ვარძიის „კლდის ქალაქი“ შესდგება 7 სართულისაგან და ითვლის 300-მდე საკან-დარბაზს, რომელთა უმრავლესობა ახლაც დაცულია (გადმოცემით საკანთა რიცხვი წინათ იყო 365 – წლის დღეთა რიცხვის მიხედვით). ზოგიერთ გამოქვაბულში 2-3 ოთახია. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია გვირაბგასავლელებით, განსაკუთრებული გვირაბი წყალსადენისათვის მიდის ქალაქიდან 3 კილომეტრის მანძილზე. არის აგრეთვე, კიდევ ორი შეუსწავლელი და გაუწმენდავი მიწისქვეშა გვირაბი.

საქართველოს ცაკთან არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების დამცველი კომიტეტი ზომებს ღებულობს სიძველეთა ამ განსაკუთრებით საინტერესო ძეგლის დასაცავად, გადიდებულია სახსრები რემონტის მოსამზადებული სამუშაოებისათვის. ამჟამად ვარძიის რაიონში იგზავნება კომისია კომიტეტის ინსპექტორის დ. დავითაშვილის, ინჟინერ გ.გიორგობიანისა და არქეოლოგ პროფ. შ.ამირანაშვილის შემადგენლობით. კომისიას დავალებული აქვს ვარძიის დათვალიერება და ხარჯთაღრიცხვის შედგენა ქალაქის საფუძვლიანი რემონტისა, მიწისქვეშა შესასვლელების გაწმენდისა და ფრესკების რესტავრაციისათვის, კომისიასთან ერთად მიემგზავრება საქ. მუზეუმის დირექტორი ამხ. გ.მიროტაძე.



УДОСТОВЕРЕНИЕ.

Дано настоящее тов.НАТЕНАДЗЕ Николаю Георгиевичу в том, что он является Заведывающим Вардзийской Туристической базой ОПТа ССР Грузии.

Тов.НАТЕНАДЗЕ поручено организовать бюро экскурсий таковой с 15-го сентября 1935г.

26 XII 450

Выбыл в тюрьме 13/I-37г.

ПРЕД.ЦК ОПТа ССР Грузии – ЛОМТАДЗЕ

УПРАВДЕЛАМИ- ЛАХТАДЗЕ

საქგზატრასმა თავისი მშენებლობის გეგმაში შეიტანა გზის გაყვანა ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილის შესაერთებლად ვარძიასთან ხერთვისიდან და ნაქალაქევიდან 18 კილომეტრის მანძილზე. ამ გზის გაყვანით შესაძლებელი გახდება პირდაპირი საავტობუსო მიმოსვლის გახსნა ახალციხიდან ვარძიამდე.

საქ. პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებამ ვარძიაში მოაწყო პატარა ბაზა 20 კაცისთვის, შემდეგისათვის გათვალისწინებულია ბაზის გაფართოება 100 კაცისათვის.

გაზეთი „კომუნისტი“, N28, 1936

სალხური „ვეფხის ტყაოსანი“

ორი ბიძაშვილი ყოფილა, ტარიელი და ავთანდილი. ამ ორივეს ჰყვარებიათ ერთი ქალი, სახელათ ლესტან-დარეჯანი. ეს ლესტან-დარეჯანიც ამათი ბიძაშვილი ყოფილა. როცა ქალის მამამ გაიგო, რო ორივე ბიძაშვილს უნდოდა ლესტან-დარეჯანი, არც ერთს არ მისცა... მამამისმა ამ ქალზე დააწყო ლექსი:

ტარიელ ტაგში გეძინა,
სიტყვა შენ გაგარწობინე,
გინდოდა ლესტან-დარეჯან,
რათ მე არ შემატყობინე.
არც შენ მოგცემ და არც იმას
ორთავ ხელ ავაღებინამ.
ხუროებსაც დავიბრი,
იაშიკსაც შევაკვრევინებ,
ოქროსა ვარაყებითა.
შიგ ჩავსვამ ლესტან-დარეჯანს,
წყალში გადავაგდებინამ.
წყალს მივცემ, წავაღებინამ,
ქარს მივცემ, დავანიანებ.
არც შენ მოგცემ და არც იმას,
ორთავ ხელ ავაღებინამ.

შეაკრევინა იაშიკი, ჩასვა თავისი ლესტან-დარეჯანი და წყალს მისცა. ახლა დედამისი მიდის თავის ქალის საძებრად. შეხვდა ამას თავისი მაზლის წული ავთანდილაჲ და ასე მოახსენა:

– შაო ბიჭო, შავ ცხენ ზიხარ,
თაქალთიც შავი გიგია,
შავად რამე შებურულხარ,
გასწიე და გამეცალე.
სიკვდილისგან გამიჭრილხარ,
ბიძიშენისა არ იყოს,
შვილი გადმიგდო წყალზედა,
ეგების სადმე გარს (ნაპირზე)
იყოს.

წყალს ეუბნევა:

წყალო, რა უყავ ჩემი მზე,
შენ წყალო, არაგვისო,
არც თოფი გეკვრის, არ ხმალი,
არ შუბლი შემოგეცემა,
მაინც მის მეტ ვერ დაგაკლებ
რაც გინდ მწყუროდე, არა ვსვამ.

ახლა კიდევ მიდის ეს ქალი გზა და გზა და ეძებს. შეხვდა ახლა ტარიელი. ახლა ამას ეუბნება ლექსს:

თეთრო ბიჭო, თეთრ ცხენს ზიხარ,
თეთრად რამე შებურულხარ,
თაქალთიც თეთრი გიგია,
ამხანაგს არა კადრულობ,
ცუდი ზნე შემოგიღია,
გასწი და გამეცალე,
სიკვდილისგან გამიჭრილხარ.

ამ ვაჟმა ბოლოს გაიგო, რომ ეს ქალის წყალ გაუტანია ქაჯის ქვეყანაში. ქაჯის ხელმწიფის ლალიებს ცხენები გაუყვანიათ წყალზე. ცხენები ისევ უკან ბრუნდებოდნენ ოქროს იაშიკის დანახვით. მისულან ლალიები, დაუნახიათ ოქროს იაშიკი არის შიგა. ამოიღეს, წამოიღეს და ხელმწიფესთან მიიტანეს. გახსნეს იაშიკი, ზის ლამაზი ქალი შიგ. ამ ხელმწიფეს მოუნდომებია თავისთვის შეერთო. მართლაც შეიყვანეს კაბინეტში. დასვეს. ავთანდილმა იმდენი იარა, რო ჩამოვიდა ქაჯის ქვეყანაში. ჩამოჯდა ერთ-ერთ წყაროს პირდაპირ. ზის და პირი უნდა დაიბანოს. დაინახა ორი იბრიხი მოაქვს ორ ქალსა, წყაროზე მოდიან, რო ლესტან-დარეჯან პირი უნდა დააბანინონ. ქალებმა რო კაცი დაინახეს, უკან შედგნენ. ამა კაცმა ბოდიშის მოხდით უთხრა: მობრძანდით, წყალი წაიღეთო. მოვიდნენ, აამსეს წყალი. კაცმა უთხრა: წყალი რისთვის გინდათო. ქალებმა უთხრეს, რო ერთი ქალია, ლესტან-დარეჯანიო და იმისთვის გვინდაო. მაშაო, მოიცაო. ერთი ცხვირსახოცი პადარკა მიუტანეთო და ამ დროს ჩუმათ ბეჭედი ჩააპარა იზრიხში.

აამსეს წყალი და ქალებმა მიუტანეს ლესტან-დარეჯანს. აიღო ამ ლესტან-დარეჯანმა, პირი დაიბანა. გადმოვარდა ბეჭედი იბრიხიდან. გაიგო რო მისი მაძებარი მოსულა. გასცა ბრძანება, რო მე ხვალ უნდა გავიარო გოროდში, გული მიწუხსო. ჰეჩ, კაკალი ადამიანი არ გამოვიდეს, ისე უნდა გავიაროო. გაიარა. ის ორი ქალიშვილიც გაიყოლა და გაიარეს. შეხვდა ეს ავთანდილე.

სტაცა ხელი და შემოისვა ცხენზე. ქალიც გაჰყვა. წავიდნენ, მაგრამ ისედაც იცოდნენ, რო მაძებარი გაჰყვებოდა. მართლა გაუდგნენ მაძებრები. წავიდნენ შორს. ერთ ალაგას დაისვენეს და ავთანდილმა უთხრა, ორი დღე და ღამეა, არ დამიძინია და ძრიელ მეძინებაო. ჩამოსხდნენ მინდორ ალაგასა და უნდა დაიძინოს. ქალმა უთხრა, მაგრა დაგეძინება და ვეღარ გაგაღვიძებო. ბიჭმა უთხრა: იტირე კარგაო და სახეზე დამაყარე შენი ცრემლები, დამწვავს და გემეღვიძებაო. ბიჭს დეეძინა. ლესტან-დარეჯანმა დაინახა ჯარი მოდის საძებრად, იტირა, ცრემლით გაალვიძა. წამოდგა ავთანდილი, უთხრა: შენ ჰეჩ, ნუ გეშინია. ადგნენ, იმოტელა ჯარი სულ დახოცეს. მარტო სამი დარჩა. იმ სამსაც ერთს ყური მოსჭრა, მეორეს ენა მოსჭრა, მესამესაც ცხვირი. ეს სამი უკან წავიდა ლუღლუღით. ხელმწიფეს პირველად გაუხარდა, ქალი მოჰყავთო, მაგრამ ისინი დაკოდილები იყვნენ. ავთანდილმა ქალიშვილი წამოიყვანა. ავთანდილი გოგოს ბიძებმა მოატყუილეს და ერთი ბებერი ქალი მისცეს ლესტან-დარეჯანის მაგიერ. ავთანდილმა როჲცა გაიგო, ეს ბებერი ქალი მოკლა. ახლა როჲცა ავთანდილმა თავისი ქალი იშოვნა, მოვიდა იმ ბებერი ქალის საფლავზე და ლექსათ დაამღერა:

მამყავდა ბერი ბებერი,
მამიხაროდა ქალათა,
დავჯე და კბილი უშინჯე,
ერთი არ ება ცალათა,
ფათმა, ეს ჩემი სირცხვილი
მაგ შენს ძმებს ედოს ვალათა.

ფათმა იყო იმ ქალიშვილის (ლესტანის) ბიძა (დედის ძმა). ახლა ავთანდილს ინტერესი აქვს თავისი ბიძის, ფათმასი, რადგან წინეთ მოატყვილია. მივიდნენ ორივენი მასთან სტუმრათ. ლესტან-დარეჯანს აქ ჩადრი მოხვეული აქვს და ვერ ცნობულობენ. გაიგეს შტოლი, დასხდნენ სუყველანი. ავთანდილმა უთხრა ბიძებს, – მოდი ერთი მოგესურვილოთო, ძრიელ მომენატრეთო. მივიდნენ. მოდი ყურში რაიმე უნდა გიჩურჩულოთო. ორივე ახლო მივიდნენ, ერთმანეთს მიაჯახა და დახოცა. ისეთი ძრიელი იყო. ახლა დახოცილებს ეუბნევა: როგორ დაგმარხოთო. ფურნეში შეგწვათო თუ საფლავში დაგმარხოთო. ადგა და ფურნეში შეყარა და დასწვა ისინი. ეს ლესტან-დარეჯანი დარჩა თითონ.

ნახ. მამუკა თავაქარაშვილისა

მთქმელი სარა მოშენაშვილი, 37 წლის, ახალციხე, ებრაელთა უბანი, ჩაწერილია ილია მაისურაძის მიერ 1937 წელს, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდი N3139

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com